პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 198 (10284) | კვირა, 21 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს  ნ ო მ ე რ შ ი ა:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის დეპეშა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის თავმჯდომარეს ბატონ ბაბას (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია (1-ლი გვერდი).
პარტიის სასოფლო რაიკომის მდივანი. — „პრავდის" 20 აგვისტოს მოწინავე (1-ლი გვერდი).
დარბაზობა იუგოსლავიის საელჩოში (1-ლი გვერდი).
პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).
ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში (მე-2 გვერდი).
მ. ლომიძე. — ბავშვთა აღზრდა მშობლების უპირველესი მოვალეობაა (მე-2 გვერდი).
შ. ჭოჭუა. — ბოლნისის რაიონში სკვების დამზადების საქმე საფრთხეშია (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — [illegible] ადგილობრივი ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ვლ. თორდუა. — [illegible] (მე-3 გვერდი).
ლიტერატურა და ხელოვნება (მე-3 გვერდი).
პ. გრინინი. — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# პარტიის სასოფლო რაიკომის მდივანი

### „პრავდის" 20 აგვისტოს მოწინავე

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის მინდვრებში გაჩაღებულია დაძაბული შრომა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა ფართოდ გაჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად და ისწრაფვიან მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, ვადამდე შეასრულონ ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე, მეტი საკვები დაამზადონ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის, წარმატებით მოაწყონ საშემოდგომო კულტურების თესვა.

საბჭოთა ხალხი კმაყოფილებით შეხვდა ცნობებს იმ წარმატებათა შესახებ, რასაც მიაღწიეს კრასნოდარის მხარის, კამენსკის ოლქის, უკრაინის, მოლდავეთის ბევრი ოლქის და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების გეგმა და იკისრეს ვალდებულება ათეულ მილიონობით ფუთი პური მისცენ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით. ეს არის კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგი, პარტიული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგი.

ეყრდნობა რა მძიმე ინდუსტრიის განუწყვეტლივ მზარდ ძლიერებას, საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროგრამას, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა. მაგრამ პარტია გვასწავლის, რომ არ შეიძლება დავჯერდეთ მიღწეულს, განუწყვეტლივ უნდა ვიაროთ წინ, მოვიპოვოთ სულ ახალი და ახალი გამარჯვებანი. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გადაწყვიტონ მარცვლეულის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების დიდი და რთული ამოცანები. ეს მოითხოვს სოფლად პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პარტიის სასოფლო რაიკომებს. ისინი ყველაზე ახლო დგანან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებასთან, შესაძლებელია ყოველდღე მოახდინონ გავლენა საქმის მდგომარეობაზე კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბეჯითად ნერგონ მოწინავე გამოცდილება, წარმართონ სოფლის მშრომელთა ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

პარტიის სასოფლო რაიკომის საქმიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რაიკომის მდივნების მუშაობის მეთოდები, პრაქტიკა. პარტიის რაიკომის მდივანი პოლიტიკური ხელმძღვანელია. პოლიტიკურ ხელმძღვანელად ყოფნა კი იმას ნიშნავს, რომ ყველგან და ყველაფერში ხელმძღვანელობდე პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებით, უზრუნველყოფდე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებას.

პოლიტიკურ ხელმძღვანელს ახასიათებს ისეთი უცილებელი თვისებები, როგორიც არის საქმის ზედმიწევნითი ცოდნა, ინიციატივიანობა, ყოველდღიური კავშირი კომუნისტებთან და მშრომელთა ფართო მასებთან, მინდობილი საქმისათვის მაღალი პარტიული პასუხისმგებლობის გრძნობა. რაიკომის მდივანზე ბევრად არის დამოკიდებული რაიონის პარტიული და სამეურნეო მშენებლობის, კულტურული ცხოვრების საკითხების უნარიანი გადაჭრა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სადაც პარტიის რაიკომები სწორი მეთოდებით მუშაობენ, იქ განუხრელად ვითარდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა. ამას, კერძოდ, მოწმობს პარტიის ოდესის ოლქის კოტოვსკის რაიკომის და მისი პირველი მდივნის ამხ. ბოტვინოვის საქმიანობა, რის შესახებაც ამას წინათ მოთხრობილი იყო „პრავდაში". კოტოვსკის რაიკომის ძალა კოლმეურნეობებისა და მტს-ების ცხოვრებაში ღრმად ჩაწვდომა, მასებში მიზანდასახული ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა, მუშაობა კადრების შერჩევად და აღსაზრდელად.

ასეთივე თვისებები ახასიათებს პარტიის კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას რაიკომს. ამ რაიკომის პირველი მდივანი ამხ. სეროშტანი და სხვა მუშაკები ყოველდღე იმყოფებიან შიგ მასებში, საქმის ცოდნით სწვდებიან კოლმეურნეობათა ეკონომიკას. ისინი უშუალოდ ადგილობრივ უწევენ პრაქტიკულ დახმარებას არტელების გამგეობებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, აქტიურად უჭერენ მხარს და ავრცელებენ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, ნოვატორთა გამოცდილებას. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის, რომ უსტ-ლაბინსკაიას რაიონი მხარის ერთ-ერთი მოწინავე რაიონია. წელს აქ კარგი მოსავალი მოვიდა, დროზე დამთავრდა მოსავლის აღება და პურის დამზადება, დიდად ამაღლდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ასეთი მაგალითი ცოტა როდია. ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ პარტიის სასოფლო რაიკომების მდივნებს შორის გვხვდებიან ადამიანები, რომლებსაც ჯეროვნად არ მოუპოვებიათ ნამდვილ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა თვისებები. ასეთი მუშაკების დამახასიათებელი ნაკლია არაკონკრეტული, ზერელე ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი. მათ სათაკილოდ მიაჩნიათ ჩასწვდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დეტალებს, შეისწავლონ და დანერგონ მოწინავე გამოცდილება. ამიტომ მათ მითითებებს დეკლარაციული ხასიათი აქვთ და საჭირო შედეგებს ვერ მოგვცემენ.

ავიღოთ, მაგალითად, პარტიის პენზის ოლქის ტერნოვკის რაიკომი. ამ რაიონში წლითიწლობით იღებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავალს, მეტად ნელა იზრდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. რაიონში მოსავლის აღება არაორგანიზებულად მიმდინარეობს, მარცვლეულის დიდი დანაკარგები აქვთ. კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის დარღვევის მრავალი შემთხვევაა.

პარტიის ტერნოვკის რაიკომი და მისი პირველი მდივანი ამხ. ვორონინი არაკვალიფიციურად ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობას. ამხ. ვორონინი ძველებურად მუშაობს: კოლმეურნეობებში იშვიათად დადის, სჯერდება ზოგად მითითებებსა და განკარგულებებს. მის მაგალითს ბაძავენ რაიკომის მდივნები მტს-ების ზონებში და სხვა მუშაკები, რომლებიც აგრეთვე არ ეწევიან ყოველდღიურ მუშაობას ადამიანებთან, კადრებთან, არ ეყრდნობიან პირველად პარტიულ ორგანიზაციებს.

იგივე შეიძლება ითქვას პარტიის ვლადიმირის ოლქის ვიაზნიკის რაიკომის საქმიანობაზე. ვიაზნიკის რაიონს უმდიდრესი შესაძლებლობები აქვს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და განსაკუთრებით მეცხოველეობის განვითარებისათვის. მაგრამ ამ შესაძლებლობებს აქ ცუდად იყენებენ. მეწველი პირუტყვის პროდუქტიულობა რაიონში შარშანდელთან შედარებით არათუ არ გადიდდა, არამედ კიდევაც შემცირდა. პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ლაპშოვი უფრო ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი, ვიდრე პრაქტიკულად მუშაობს იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს და სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებს.

სასოფლო რაიკომების მუშაობის ასეთი მანკიერი პრაქტიკა შეუწყნარებელია. თუ შემდგომ არ გავაუმჯობესებთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის მეთოდებს, თუ არ გავაძლიერებთ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა, ისე ვერ გადავწყვეტთ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დიდ და რთულ ამოცანებს.

პარტიის სასოფლო რაიკომის მუშაობის შეფასება ხდება არა დეკლარაციების, არა მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის მიხედვით, არამედ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის ფაქტიური შედეგების მიხედვით. დიდდება თუ არა მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა, იზრდება თუ არა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა, დიდდება თუ არა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობა — აი რა განსაზღვრავს სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონეს.

პარტიის რაიკომის მდივანი მოვალეა კარგად იცოდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, ბეჯითად შეისწავლოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მოწინავე გამოცდილება და აღნუსხოს მის ფართოდ გავრცელებას. რაიკომის მდივანი ვერავის ვერ მისცემს ზოგად მითითებებს. იგი უნდა ფიქრობდეს, თუ რა მდგომარეობაშია თვითეული კოლმეურნეობა, ეთათბირებოდეს აქტივს, თუ როგორ შეიძლება მეურნეობის რაც შეიძლება მალე წამოწევა, და იღებდეს შესაბამის ღონისძიებებს.

ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ მტკიცე სამეურნეო წარმატებათა მიღწევა შეიძლება პოლიტიკური მუშაობის შენელების ფასად. ზოგიერთი, პირიქით, პოლიტიკურ მუშაობას ეწევა კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გადაჭრისაგან მოწყვეტით. პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის სწორი შეხამების უნარის უქონლობა მხოლოდ ვნებს საქმეს. რომ დავრაზმოთ მასები სოფლის მეურნეობის აღმავლობის იმ პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, რომელიც პარტიამ დასახა, საჭიროა ვიმუშაოთ თვითეულ ადამიანთან, მივწვდეთ თვითეულ კოლმეურნეს, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკს.

პარტიის სასოფლო რაიკომის მდივანს ყოველდღე უხდება პარტიული, სამეურნეო და იდეოლოგიური საქმიანობის სულ სხვადასხვა საკითხებზე მუშაობა. იგი კარგად უნდა ერკვეოდეს ყველა ამ საკითხში, მიმართულებას აძლევდეს სხვადასხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების საქმიანობას. ამისათვის კი მას უნდა ჰქონდეს ფართო ჰორიზონტი, იმაღლებდეს თავისი თეორიული ცოდნის დონეს, მეტი ეთათბიროს გამოცდილ ადამიანებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ნოვატორებს.

პარტიის სასოფლო რაიკომებისა და მათი მდივნების მუშაობის მეთოდების გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ მათ საოლქო, სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები. საჭიროა სისტემატურად ვსწავლობდეთ, განვაზოგადებდეთ და ვავრცელებდეთ რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დადებით გამოცდილებას, რისთვისაც ვიყენებდეთ სემინარებს, თათბირებს, ადგილობრივ პრესას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ უკანასკნელ ხანს სასოფლო რაიკომებში და მტს-ების ზონების მიხედვით მათს ინსტრუქტორთა ჯგუფებში ბევრი ახალი მუშაკი მივიდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელი ჩვენი ხალხის მხარდაჭერითა და აქტიური დახმარებით წარმატებით დაამთავრებენ მოსავლის აღებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას. პარტიის სასოფლო რაიკომებს და მათ მდივნებს ახლა არაფერი აქვთ იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ბრძოლა იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ სოფლის მეურნეობას დაუსახა. მათ უნდა გამოავლინონ მთელი თავიანთი ის ბოლშევიკური უნარი, რომ მჭიდროდ აკავშირებდნენ და რაზმავდნენ მასებს, ავითარებდნენ მათს შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას, მიჰყავდეთ ისინი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებაში ახალ წარმატებათა მისაღწევად.

# ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის თავმჯდომარეს ბ ა ტ ო ნ  ბ ა ბ ა ს

ჟენევა

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ჟენევაში მთავრდება, მნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარების გზაზე ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა ატომის ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნებისათვის.

აზრთა და ინფორმაციათა გაცვლა, რაც კონფერენციაზე მოხდა, ძვირფასი წვლილია ამ დარგის მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი პროგრესის საქმეში.

ეს კონფერენცია უეჭველია სამსახურს გაუწევს მშვიდობის საქმეს და ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

საბჭოთა მთავრობა კონფერენციის ყველა მონაწილეს ულოცავს მიღწეულ წარმატებას და გამოთქვამს იმედს, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის საქმე, რაც ესოდენ წარმატებით დაიწყო ამ კონფერენციამ, კვლავაც გაგრძელდება ყველა ქვეყნის მეცნიერთა ასეთი თათბირების რეგულარულად მოწვევის გზით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ბულგანინი.**

1955 წლის 19 აგვისტო.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა 20 აგვისტოს მიიღო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაცია, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

მიღებას დაესწრნენ დელეგაციის წევრები ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის კრების თავმჯდომარის ვლადიმერ ბაკარიჩის მეთაურობით.

მიმართა რა იუგოსლავ სტუმრებს, კ. ე. ვოროშილოვმა განაცხადა, რომ მოხარულია სულითა და გულით მიესალმოს აქ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში მოძმე იუგოსლავი ხალხის წარმომადგენლებს. ჩვენი ხალხების ურთიერთობაში, — თქვა კ. ე. ვოროშილოვმა, — დადგა ბოლოსდაბოლოს ნამდვილი გაზაფხული, რომელსაც მოჰყვება თბილი, ცხელი ზაფხული. ამ გაზაფხულის პირველი მერცხალი იყო ის, რომ ამას წინათ საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ეწვია იუგოსლავიას, თქვენი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში მეორე ასეთი მერცხალია. ვისურვებ, რომ ასეთი ურთიერთ სტუმრობა უფრო ხშირად განმეორებული იყოს, რათა ჩვენი ძმური მეგობრობა კიდევ უფრო მტკიცე და ურღვევი გახდეს.

კ. ე. ვოროშილოვმა რწმენა გამოთქვა, რომ იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის წევრები, სამშობლოში რომ დაბრუნდებიან, ისევე როგორც საბჭოთა ადამიანები, ყოველივეს გააკეთებენ იმისათვის, რომ ორივე ხალხს შორის მეგობრობა სულ უფრო ფართოვდებოდეს და მტკიცდებოდეს.

იუგოსლავიის დელეგაციის სახელით ვლადიმერ ბაკარიჩმა მადლობა უძღვნა ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის. დელეგაციას, თქვა ვ. ბაკარიჩმა, დასდეს დიდი პატივი — დასწრებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას. ყველგან, სადაც იყო დელეგაცია, მან პოვა უაღრესად გულითადი მიღება. ვ. ბაკარიჩმა ღრმა კმაყოფილება გამოთქვა მეგობრული ურთიერთობის გამო, რომელიც ორივე ქვეყანას შორის ვითარდება, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ჩასვლა იუგოსლავიაში შესანიშნავი მოვლენაა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის ისტორიაში.

გულთბილ ამხანაგურ საუბარში, რაც დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, დელეგაციის წევრებმა გამოთქვეს თავიანთი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ.

საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დეპუტატმა ბორის ზიხერლმა, რომელიც სსრ კავშირში იყო 9 წლის წინათ, თქვა, რომ იგი ძალიან გააოცა წარმატებებმა მშენებლობაში. მაგრამ ჩემთვის, ხაზგასმით აღნიშნა ბ. ზიხერლმა, ყველაფერზე უფრო ძვირფასია შეხვედრები საბჭოთა ადამიანებთან, რომლებიც, როგორც ჩვენ დავრწმუნდით, მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია ძმური ურთიერთობის დამყარება იუგოსლავიასთან. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩაყრილია კარგი საფუძველი ასეთი ურთიერთობის განვითარებისათვის.

დელეგაციის წევრმა გრეტა კავაიმ აღნიშნა დიდი როლი, რომელსაც საბჭოთა ქალები ასრულებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და, კერძოდ, სახალხო მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის მაღალი ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ ილაპარაკა ფრანიო გაჯიმ.

გამოეთხოვა რა იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის წევრებს, კ. ე. ვოროშილოვმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა და იუგოსლავი ხალხები წრფელი გულით, გულითადად განავითარებენ და განამტკიცებენ თავიანთ ურთიერთობას. მან სთხოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით და პირადად მისგან გადასცენ გულითადი სალამი ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს, ამხანაგ მოშა პიადეს და დიდი ძმური სალამი იუგოსლავიის ყველა ხალხს.

დელეგაციას ახლდნენ იუგოსლავიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში დ. ვიდიჩი და საელჩოს მრჩეველი ფ. ბაბიჩი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები შ. მ. არუშანიანი და ვ. ი. კოზლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. მ. საფრონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

(საკდესი).

# დარბაზობა იუგოსლავიის საელჩოში

19 აგვისტოს იუგოსლავიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში დ. ვიდიჩმა დარბაზობა მოაწყო სსრ კავშირში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაციის ყოფნის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ დელეგაციის მეთაური — ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის კრების თავმჯდომარე ვლადიმერ ბაკარიჩი, დელეგაციის წევრები: რაია ნედელკოვიჩი, ვიცკო კრსტულოვიჩი, ცვიეტინ მიატოვიჩი, ბორის ზიხერლი, რისტო ანტუნოვიჩი, ვიდოე სმილევსკი, ჯოკა პაიკოვიჩი, პაშკო რომაცი, მილიან ნეორიჩიჩი, ბოსა ცვეტიჩი, ფრანიო გაჯი, სლავკო პაპლერი, ფრანც სიმონიჩი, ხალიდ მესიხოვიჩი, გრეტა კავაი, გოიკო გარჩევიჩი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები შ. მ. არუშანიანი, ვ. ი. კოზლოვი და მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. მ. საფრონოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ს. ბირიუზოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ფ. პოპოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, არმიის გენერლები ა. ი. ანტონოვი, მ. ს. მალინინი და ი. ა. სეროვი, არტილერიის მარშალი მ. ი. ნედელინი, ავიაციის მარშალი ს. ი. რუდენკო, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „ტრუდის" მთავარი რედაქტორი ბ. ს. ბურკოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. ი. დუდინი, ი. ა. კაიროვი, ზ. ა. ლებედევა, ტ. დ. ლისენკო, დ. გ. ონიკა, ა. ა. სურკოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. ნ. შელეპინი, ა. ა. რაპოხინი, ვ. ე. სემიჩასტნი და ზ. პ. ტუმანოვა, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ს. ა. ბორისოვი, ვ. ა. ზორინი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. რომანოვი, სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. ფ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-4 განყოფილების გამგის მოვალეობის ამსრულებელი ვ. ფ. ნიკოლაევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო სამმართველოს უფროსი ა. პ. ვლასოვი, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრი მ. გ. ლოშაკოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. კალიშიანი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომელი ი. ა. კოროლიოვი.

სტუმრებს შორის იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობამ გულითადობის, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

## პ ა რ ტ ი ი ს  XX  ყ რ ი ლ ო ბ ი ს  ა ღ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ა დ

# ენერგეტიკოსთა წარმატება

რუსთავი. (საკ. კორ.). მესამე კვარტალის გეგმის გადამეტებით გამოვიმუშაოთ 10 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, დავზოგოთ 1.000 ტონა ქვანახშირი და 3 პროცენტით შევამციროთ გამომუშავებული ენერგიის თვითღირებულება — ასეთი ვალდებულებები იკისრა სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის კოლექტივმა და ენერგიული შრომით საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა. აგვისტოს ორ დეკადაში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 2 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, დაზოგა 600 ტონამდე ქვანახშირი.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტურბინის, საქვაბე, ელექტროსაამქროები და სხვა ობიექტები. ენერგეტიკოსები დიდ ყურადღებას აქცევენ თბოელექტროსადგურის გადამწყვეტ უბნებზე ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას. ამ დღეებში მათ ერთ-ერთ ახალ ქვაბზე მიაღწიეს მოწყობილობის მართვის სრულ ავტომატიზაციას, რაც ხელს უწყობს საწვავის დიდ ეკონომიას.

# ტრამვაის წრიული მარშრუტი დიდუბე-ღრმაღელე

16 აგვისტოს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო შეუდგა ტრამვაის ახალი ლიანდაგის გაყვანას დიდუბიდან ღრმაღელისაკენ. ეს ხაზი წყვილი ლიანდაგით დააკავშირებს ბრძოლის ქუჩას მაგნიტოგორსკის ქუჩასთან, შესაძლებელს გახდის თბილისში მოეწყოს ტრამვაის ორმხრივი წრიული მოძრაობა ქალაქის რკინიგზის მთავარი სადგურის მოედნიდან ღრმაღელის მარშრუტით (საბჭოს ქუჩა, მაგნიტოგორსკის ქუჩა, ბრძოლის ქუჩა, რკინიგზის სადგურის მოედანი), აგრეთვე დიდუბის მარშრუტით (სადგურის მოედანი, ბრძოლის ქუჩა, მაგნიტოგორსკის ქუჩა, საბჭოს ქუჩა).

ტრამვაელებმა გადაწყვიტეს ამ ახალი მიმართულებით წყვილი ლიანდაგის გაყვანა და მოძრაობისათვის გამზადება დაამთავრონ 1 ნოემბრამდე. ლიანდაგმშენებლებმა კი სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს მთელი ეს სამუშაო ორი კვირით ადრე შეასრულონ.

# მზესუმზირას აღება დაიწყო

წითელწყარო. (სპეც. კორ.). არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო მზესუმზირას მოსავლის აღება. კოლმეურნეთა და მექანიზატორთა ბეჯითი მუშაობის შედეგად საშუალოდ ჰექტარზე ორჯერ მეტ მზესუმზირას იღებენ, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

წითლის მტს-ის 9 კომბაინი მუშაობს მზესუმზირას აღებაზე. სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომბაინერი ი. ჭუაძე, იგი ყოველდღიურ დავალებას ერთიორად ასრულებს. წარმატებით იღებენ მზესუმზირას აგრეთვე კომბაინერები ა. კრავჩენკო, გ. შანშიაშვილი, ა. ტრუფანოვი.

მზესუმზირას მოსავლის აღება დაიწყეს აგრეთვე არბოშიკის კალინინის სახელობის, ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის, ქედის სტალინის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

# ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში

## რაიკომის ლექტორთა ჯგუფი

წულუკიძე. („კომუნისტის" კორ.). პარტიის რაიკომის ლექტორთა ჯგუფმა უკანასკნელ ხანებში გააუმჯობესა მუშაობა. ლექტორთა ჯგუფის შემადგენლობა შეივსო თეორიულად მომზადებული ამხანაგებით. მრავალფეროვანი გახდა ლექციების თემატიკა. მშრომელები ინტერესით ისმენენ ლექტორების ვ. ხეცაძის, ს. ჭოლოკავას, მ. კობალიანის, რ. ლეთოდიანის, ს. მეზურკის, კ. ცაცუას და სხვათა ლექციებს. ისინი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, გულმოდგინედ ამუშავებენ არჩეულ თემას, ლექციას ამდიდრებენ ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული საინტერესო ფაქტებით.

ლექციების თემატიკის შედგენაში ლექტორთა ჯგუფის მთელი კოლექტივი მონაწილეობს. სხდომაზე, სადაც ჯგუფის წევრები თემატიკას განიხილავენ, იმართება კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. შენიშვნების მიხედვით ავტორები განაგრძობენ აღებულ თემებზე მუშაობას.

ამასთან ერთად ლექტორთა ჯგუფის მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. ლექტორთა ჯგუფის ძალებით მცირე რაოდენობით იკითხება ლექციები და მოხსენებები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიც არის ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცხოვრება, სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. არასაკმაოდ ეწყობა ლექციები წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად.

პარტიის წულუკიძის რაიონულმა კომიტეტმა ამ რამდენიმე ხნის წინათ განიხილა რაიკომის ლექტორთა ჯგუფის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი გამომჟღავნებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. პარტიის რაიკომმა ლექტორთა ჯგუფს დაავალა მაღალ დონეზე მოაწყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა.

## პარტიული ჯგუფების საკითხი რაიკომის ბიუროზე

ახალციხე. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა საკოლმეურნეო ბრიგადებში პარტიული ჯგუფების მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მესამე, მეხუთე და მეშვიდე ბრიგადებში პარტიული ჯგუფები სუსტად მუშაობენ. კოლმეურნეთა შორის პოლიტიკური აგიტაციის არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგიც არის, რომ მნიშვნელოვნად შესუსტდა შრომის დისციპლინა. მსგავსი მდგომარეობაა აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადაში, სადაც პარტიულმა ჯგუფმა წელს მთლიანად შეწყვიტა მუშაობა. ასევე ითქმის ურავლის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის პარტიულ ჯგუფზეც.

რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საკოლმეურნეო ბრიგადებში პარტიული ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

# ბოლნისის რაიონში საკვების დამზადების საქმე საფრთხეშია

როცა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის მიმდინარეობაზე ვესაუბრეთ ბოლნისის რაიონის სოფელ ზემო გულავერის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. მეხტიევს, მან გულდამშვიდებით განაცხადა:

— საკვების დამზადების მხრივ ჩვენთან მაინცდამაინც ცუდი მდგომარეობა არ არის. მართალია, სასილოსე ნაგებობის მშენებლობის გეგმა ჯერ არ შეგვისრულებია, მაგრამ მოვასწრებთ... სამაგიეროდ, რასაც ვაშენებთ, ვაშენებთ მაღალხარისხოვნად.

მაგრამ საქმის ნამდვილი მდგომარეობა ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ წარმოადგინა. აქ დღემდე უნდა აეგოთ 140 ტონის ტევადობის ტრანშეა. კოლმეურნეობისათვის ეს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ფერმიდან 100 მეტრის დაშორებით ნახავთ საშენი ქვის გორას. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებსა და ბოლნისის მტს-ის მუშაკებს დღემდე არ შეუწუხებიათ თავი იმისათვის, რომ საშენი მასალა მშენებლობის ობიექტთან მიეზიდათ.

აქ მშენებლობის დამთავრების დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ დაფაცურდნენ და ამ სიჩქარეში ხარისხი დაივიწყეს. 110 ტონის ტევადობის ტრანშეას მეტად პრიმიტიულად — თიხით აპირკეთებენ, მაშინ როცა კოლმეურნეობას ცემენტი აქვს. მშენებლობის ტექნიკურ წესსაც არ იცავენ. ტრანშეის ფუძის სიგანე ერთ ადგილას 2,5 მეტრია, ხოლო მეორე ადგილას 2,2 მეტრი.

ამასთან ძველი სასილოსე ნაგებობანი ძალიან ცუდად შეაკეთეს, სახელდობრ კედლის ზოგიერთი ნაწილი გაულესავია და ჰაერი თავისუფლად მოძრაობს, მაშინ როცა კოლმეურნეობას სასილოსე ორმოს გვერდით ცემენტი უყრია, რომელიც მოუვლელობის შედეგად ფუჭდება. ასეთ აგებულ ორმოში კოლმეურნეობამ ჩადო 110 ტონა სასილოსე მასა. ეს ხომ აშკარა დანაშაულია!

სოფელ ქვეშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. პაპიანი) რაიონის ცენტრიდან არც ისე შორს არის. აქ ხშირად დადის პარტიის რაიკომის მდივანი ბოლნისის მტს-ის ზონაში ამხ. ა. ფარაჯევი. მაგრამ რატომღაც ვერ შეუმჩნევია ის, რომ კოლმეურნეობაში საკვების დამზადება თვითდინებას მიანდეს. თვეზე მეტია, რაც მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავალი აიღეს. მიუხედავად ამისა, უხეში საკვების მარაგის შევსების დიდი წყარო — ნამჯა ზოგიერთ ნაკვეთზე დღესაც აულებელია. ნამჯის დიდი ნაწილი კიდევაც დალპა.

კოლმეურნეობაში სასილოსე ნაგებობის მშენებლობის გეგმის შესრულება ჩაშლილია. 200 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობათაგან 19 აგვისტოსათვის არც ერთი არ დაუმთავრებიათ. ახლაც არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. 18 და 19 აგვისტოს სასილოსე ნაგებობის მშენებლობაზე არც ერთი კაცი არ მუშაობდა.

საერთოდ ბოლნისის მტს-ის ზონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში როგორც უხეში საკვების დამზადება, ისე სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა საფრთხეშია. 3.614 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობიდან აშენებულია მხოლოდ 2.020 ტონის ტევადობისა. ჩამორჩნენ უხეში საკვების დამზადებაშიც.

გაკვირვებას იწვევს ბოლნისის მტს-ის დირექტორის ამხ. ა. გრიგოლიას საქციელი. როცა მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში საკვების დამზადების საქმეს ჩაშლა ელის, იგი ამ გაცხარებული მუშაობის დროს შვებულებაში წავიდა.

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში ჩამორჩენას ვხვდებით თამარისის მტს-ის ზონის ზოგიერთ კოლმეურნეობაშიც. მაგალითად, სოფელ კოჩულოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. იოლჩევი), სადაც ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ დაწესებული ვადისათვის შეესრულებინათ სასილოსე ნაგებობის მშენებლობის დავალება, ჯერ კიდევ არ დაუწყიათ 100 ტონის ტევადობის ტრანშეის აგება.

სოფელ კოჩულოს კოლმეურნეობაში აშკარა დაუდევრობა გამოიჩინეს უხეში საკვების მარაგის შექმნის საქმეში. 245 ჰექტარ ფართობზე ნამჯა ჯერ კიდევ შეუგროვებელი და დაუზვინავია.

რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა კარგად მოუარეს სიმინდის ნათესს და მოსავალიც კარგია. ზოგან უკვე დაიწყეს სიმინდის დასილოსება. სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობაში წელს გათვალისწინებული აქვთ თვითეულ ძროხაზე დაამზადონ 5-6 ტონამდე სილოსი. ახლა საკოლმეურნეო მინდვრებში სწრაფად და უდანაკარგოდ იღებენ სიმინდს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში. ცალკე იღებენ და ასილოსებენ ტაროს, ცალკე ამზადებენ სილოსს სიმინდის ღეროსა და ფოთლისაგან. ასევე კარგად მუშაობენ საკვების დასილოსებისათვის სოფელ სარაჩლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობას კარგად ეხმარება თამარისის მტს-ის კომბაინერი მ. გამზაროვი. იგი წელს პირველად მართავს სიმინდის ასაღებ კომბაინს. მიუხედავად ამისა, მანქანას შეუფერხებლად ამუშავებს და ყოველდღიურად იღებს 10-12 ჰექტარ სიმინდს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში. მარტო ამ კომბაინით აღებული მოსავლიდან მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში უკვე ჩადებულია 1.300 ტონაზე მეტი სასილოსე მასა.

სამწუხაროდ, მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებას რაიონში სუსტად ნერგავენ.

მეცხოველეობის მტკიცე ბაზის შექმნის საქმეში არსებული მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია. როგორც ჩანს, ბოლნისის რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ვერ ითვალისწინებენ, რომ საკვების დამზადებისადმი ყურადღების შესუსტება ნიშნავს საფრთხე შეუქმნათ მეცხოველეობის განვითარების საქმეს რაიონში.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.



თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე ამ დღეებში გაიხსნა საქართველოს სარეწაო კავშირის არტელ „მკერავთა კომუნის" მოდების ატელიე. სურათზე: ხელოსანი ნ. უესტოვსკაია (მარჯვნივ) ამოწმებს მოსწავლე დ. ერაძის ნამუშევარს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## მშენებლობათა ტიპური პროექტები სოფლის მეურნეობისათვის

საქსოფლპროექტმა ჩვენი ქვეყნის სეისმური რაიონების იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც მეცხოველეობას მისდევენ, დაამთავრა მთელი რიგი ტიპური პროექტების დამუშავება. პროექტებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ნაგებობანი — საძროხეები 200 და 100 სული პირუტყვისათვის, საღორეები 25 და 40 დედაღორისათვის, გასასუქებელი ღორების სადგომები 150 სულისათვის, საფრინველეები 500 ფრთა ფრინველისათვის, აგრეთვე საწნახელები, ფარეხები, საჯინიბოები და სხვ. ეს პროექტები ფართოდ იქნება გამოყენებული აგრეთვე ყამირი და ნასვენი მიწების რაიონებში მეცხოველეობის განვითარებისათვის.

პროექტები დამუშავდა ინჟინრების ი. გრიგოლიას, ა. ანჯაფარიძის, მ. ლიპკინის, ა. ლებედევის და ა. სოლოვიოვის ხელმძღვანელობით.

* * *

საქართველოს რაიონებისათვის საქსოფლპროექტი ამუშავებს სასოფლო კლუბის შენობის ტიპურ პროექტს. კლუბს ექნება დარბაზი 300 მაყურებლისათვის, ოთახები საწრეო მუშაობისათვის, ბიბლიოთეკისა და სამკითხველოსათვის, კინოაპარატის კამერა. მთავრდება აგრეთვე კოლმეურნეობათა კანტორების ტიპური პროექტის დამზადება. ეს პროექტები გამოიცემა მიმდინარე წლის ბოლოსათვის. მათი მიხედვით მშენებლობა მომავალი წლიდან გაჩაღდება.

## დიდი მოგება

ხაშური. (საკ. კორ.). სოფელ ტკოცაში მცხოვრებმა კოლმეურნე ო. შუბითიძემ ხაშურის შემნახველ სალაროში წარადგინა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის 200-მანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც ხვდა მოგება 50.000 მანეთი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1952 წლის გამოშვება) ასმანეთიანი ობლიგაციით 25.000 მანეთი მოიგო ხაშურში მცხოვრებმა გ. კიკნაძემ. გარდა ამისა, წელს შემნახველმა სალარომ გასცა ერთი 25-ათასმანეთიანი, ორი 10-ათასმანეთიანი და რვა 5-ათასმანეთიანი მოგება.

პრესის მიმოხილვა

# უკეთ გავაშუქოთ ადგილობრივი ცხოვრება

რაიონული გაზეთების ძირითადი ამოცანაა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა ყოველდღიური პროპაგანდის საფუძველზე, რაც უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ და გასაგებ ფაქტებს ადგილობრივი ცხოვრებიდან. მოწინავე ადამიანების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორების მუშაობის მაგალითებზე რაიონული გაზეთები უნდა ზრდიდენ საბჭოთა ადამიანებს შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

ამჟამად, როცა კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა და ახდენს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას ამ პროგრამის განხორციელებისათვის, რაიონული გაზეთების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

მესტიის რაიონული გაზეთი **„კოლექტიური შრომა"** (რედაქტორი ამხ. ს. მჭედლიანი) სუსტად, უფერულად აშუქებს რაიონის მრავალფეროვან ცხოვრებას. იგი უმთავრესად ფაქტების უბრალო რეგისტრაციით კმაყოფილდება, რაციონალურად ვერ იყენებს ფორმატს. გაზეთის ფურცლებზე იგრძნობა თემატიკის სიღარიბე, ოფიციალური მასალების სიჭარბე, სუსტი კავშირი ავტორთა აქტივთან. მაგალითად, 13 მარტის ნომერში მხოლოდ მოწინავე სტატია და სამიოდე პატარა ინფორმაციაა საკუთარი, დანარჩენი მასალები მთლიანად ოფიციალურია. სამწუხაროდ, ეს გამონაკლისი როდია „კოლექტიური შრომის" მუშაობაში. მიმდინარე წლის ექვს თვეში გაზეთში დაბეჭდილია სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული აქტივის თითო-ოროლა წერილი. მის ფურცლებზე უმეტესად ერთი და იგივე ავტორები თანამშრომლობენ. რედაქცია არ ზრუნავს იმისათვის, რომ თავის გარშემო შემოიკრიბოს ავტორთა ფართო აქტივი. ყოველივე ამის გამო გაზეთში მოთავსებული მასალები ინტერესს მოკლებული და უფერულია.

გაზეთში გამოქვეყნებულ მოწინავე წერილებში ფაქტების უბრალო ჩამოთვლაა. მათში გაშუქებული არ არის ის, თუ რამ გამოიწვია ჩამორჩენა, როგორ უნდა ვიბრძოლოთ მისი გამოსწორებისათვის. სუსტი კრიტიკა, რომელსაც მოწინავე წერილები შეიცავს, ვერაფრით ვერ დაეხმარება ადგილობრივ ორგანიზაციებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

„კოლექტიური შრომის" რედაქცია არ ზრუნავს იმისათვის, რომ საქმის ღრმა ცოდნით, თავისი რაიონის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით გამოავლინოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში გამოუყენებელი რეზერვები, ფართო პროპაგანდა გაუწიოს მოწინავეთა გამოცდილებას და იბრძოლოს მისი დანერგვისათვის. სოფელ იფარის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს მოწინავე მწველავი ქალი ლუბა პირველი. მან გასულ წელს 12 ძროხაზე 12 ხბო გაზარდა და ლაქტაციის პერიოდში თვითეულ ძროხაზე 1.205 კილოგრამი რძე მიიღო. განა ეს კარგი შედეგი მაღალმთიან რაიონში გაზეთის ყურადღების ღირსი არ იყო? გაზეთის ფურცლებზე ვერ შეხვდებით ვერც ერთ მასალას მოწინავე გამოცდილებაზე. გაზეთს პრაქტიკაში არა აქვს შემოღებული რუბრიკა — მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა.

რედაქცია გვერდს უვლის პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებს. მიმდინარე წელს გაზეთი არც ერთხელ არ გამოსულა ღრმა, პრინციპული და მახვილი კრიტიკული წერილით.

მესტიის რაიონის 816 კომუნისტიდან საკოლმეურნეო შრომაში მხოლოდ 283 მონაწილეობს. 17 კოლმეურნეობიდან 11 ვერ ასრულებს წველადობის გეგმებს, არ სრულდება აგრეთვე მეცხოველეობის სულადობის ზრდის 1955 წლის გეგმა. მაგრამ გაზეთი ამ საკითხების გაშუქებით თავს არ იწუხებს, არ იბრძვის ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

მესტიის სატყეო მრეწველობაში ზევრი ახალი მექანიზმი და მანქანაა. მიუხედავად ამისა, აქ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის სუსტად იბრძვიან, დაბალია მანქანების გამოყენების დონე, მუშების გამომუშავების ნორმები. ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია, იგრძნობა მექანიზატორთა კადრების ნაკლებობა, რაც გამოწვეულია მათი დენადობით. ამის გამო სუსტად ხდება ახალი ტექნიკის დანერგვა და ათვისება. სამწუხაროდ, „კოლექტიური შრომა" ამ საკითხებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ნაცვლად იმისა, რომ გაზეთმა ფართოდ გააშუქოს რაიონის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგების წარმატებანი თუ ნაკლოვანებანი, იგი თავის ფურცლებზე ვრცელ ადგილს უთმობს ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორის მოადგილის პოლიტნაწილში ამხ. ვ. კვარაცხელიას მყვირალა სათაურებიან, არაფრისმთქმელ წერილებს, რომლებშიც მოცემული არ არის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილი სურათი.

ასევე ნაკლებ ყურადღებას უთმობს გაზეთი მოსახლეობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, იშვიათად ბეჭდავს მშრომელთა წერილებს. დაბალია გაზეთის ტექნიკური გაფორმებისა და ბეჭდვის დონე.

გაზეთ „კოლექტიური შრომის" აღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია იმით, რომ პარტიის მესტიის რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს თავის გაზეთს. მიმდინარე წელს რაიკომს არც ერთხელ არ მოუსმენია გაზეთის მუშაობის საკითხი. რაიკომის ბიურო რედაქციის სამუშაო გეგმებს შემთხვევიდან შემთხვევამდე განიხილავს. რაიკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები, რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები გაზეთში არ მონაწილეობენ.

პარტიის მესტიის რაიკომმა მკვეთრად უნდა გააუმჯობესოს გაზეთისადმი ხელმძღვანელობა, მიიღოს ღონისძიებანი მისი იდეური და ტექნიკური დონის ასამაღლებლად.

# ბავშვთა აღზრდა მშობლების უპირველესი მოვალეობაა

ჩვენს დიად სამშობლოში განსაკუთრებული სიყვარულითა და მზრუნველობით არიან გარემოსილი ბავშვები — ჩვენი ცხოვრების ეს უმშვენიერესი ყვავილები, ჩვენი მომავალი და იმედი. ბავშვების აღზრდა სახელმწიფო საქმედ არის აღიარებული. სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მომავალი თაობის აღსაზრდელად კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მრავალმხრივ ღონისძიებებს ახორციელებენ. ამ ამოცანას ემსახურება დედათა და ბავშვთა დაწესებულებების უფართოესი ქსელი, უდიდესი მატერიალური დახმარება, რასაც სახელმწიფო მრავალშვილიან დედებს უწევს, ბავშვთა სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, საზაფხულო გამაჯანსაღებელი ბანაკები და სხვ.

ახორციელებს რა მომავალი თაობის აღსაზრდელად უდიდეს ღონისძიებებს, სახელმწიფო ამასთან როდი ათავისუფლებს მშობლებს ბავშვთა სწორი აღზრდისათვის პასუხისმგებლობისაგან. საბჭოთა კანონით დედასა და მამას ბავშვების მიმართ თანაბარი უფლებები აქვთ მინიჭებული და თანაბარი მოვალეობა ეკისრებათ, ამასთან ეს მოვალეობა უნდა სრულდებოდეს ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით.

მშობლების ძირითადი და მთავარი მოვალეობაა აღზარდონ ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ბავშვები, ჩაუნერგონ შვილებს სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გრძნობა.

სახელმწიფოს, მთელი საბჭოთა ხალხის, მშობლების სისტემატური ზრუნვის შედეგად ჩვენს ქვეყანაში იზრდება შესანიშნავი ახალგაზრდობა, კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული მომავალი თაობა.

მიუხედავად ამისა, ყველა საბჭოთა მოქალაქე როდი ასრულებს კეთილსინდისიერად თავის მშობლიურ მოვალეობას შვილებისა და ოჯახის წინაშე. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი მშობლები, რომლებმაც, დაკარგეს რა საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, ტოვებენ ოჯახს, ბავშვებს, არ ზრუნავენ მათი აღზრდისათვის, თავს არიდებენ საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე პასუხისმგებლობას.

მშობლებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, მათ შორის ურთიერთობის გაწყვეტა, ერთი მათგანის ოჯახიდან წასვლა სერიოზულ ტრავმას აყენებს ბავშვს და თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე მძიმე კვალს ტოვებს მის შეგნებაში.

ოჯახის გათიშვის თავიდან აცილებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ზეგავლენას. ცოტა როდია ისეთი შემთხვევა, როცა პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივების ენერგიულმა ჩარევამ, მათ მიერ მიღებულმა ზეგავლენის ზომებმა გონზე მოიყვანა სწორ გზას ამცდარი მშობელი, შეაგნებინა მისი საქციელის მანკიერება, აიძულა ოჯახს დაბრუნებოდა.

სამწუხაროდ, ხშირად ულირსი მშობლის საქციელს საზოგადოებრიობა სრულიად არ ეხმაურება, ასეთ ქცევას მის „პირად საქმედ" თვლის. ეს სწორი არ არის, რადგან ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის აღზრდა პირადი საქმე როდია, იგი სახელმწიფოებრივი, მთელი ხალხის საქმეა.

სახელმწიფო მტკიცედ იცავს ბავშვის ინტერესებს. საოჯახო და საქორწინო კოდექსის 47-ე მუხლი მშობლებს ავალდებულებს არჩინონ შვილები მანამდე, სანამ ისინი სრულწლოვანი გახდებოდნენ, შრომის უნარმოკლებულნი კი — შემდეგაც. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად, სახალხო სასამართლოები, იმ შემთხვევაში, როცა მშობლები ნებით არ ასრულებენ მშობლიურ მოვალეობას, თავიანთი გადაწყვეტილებით ავალდებულებენ მათ შვილების შესანახავად იხადონ ალიმენტი. სისხლის სამართლის წესით ისჯებიან მშობლები, რომლებიც არ ასრულებენ სასამართლოს გადაწყვეტილებას — არ იხდიან დადგენილ ალიმენტს.

მოქალაქე ნ. დ. გათიაშვილი წლების განმავლობაში არიდებდა თავს ალიმენტის გადახდას მოქალაქე ჩიუმაკის სასარგებლოდ, რომელთანაც მას ქალიშვილი ჰყავდა. 1951 წელს მას გორის რაიონის სახალხო სასამართლომ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდებისათვის. გათიაშვილი პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგაც დაემალა ყოფილ ცოლს, შვილს, ხელისუფლების ორგანოებს. მიღებული ზომების შედეგად ის იპოვნეს და ამჟამად იძულებით ახდევინებენ ალიმენტს.

„გუმათჰესის" თანამშრომელი ნ. ნ. ჩუდოვი 1940 წლიდან თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას მოქალაქე მალიცკაიას სასარგებლოდ. იუსტიციის ორგანოებმა მისი მისამართი და სამუშაო ადგილი დაადგინეს. მიმდინარე წლის აპრილში ყადაღა დაედო ნ. ჩუდოვის ხელფასს „გუმათჰესის" ბუღალტერიაში. ეს რომ გაიგო, ჩუდოვმა სამუშაო მიატოვა და მიიმალა. ამჟამად მას დაეძებენ.

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილის სამკითხველოს ყოფილი გამგე ნ. ა. ჯაშიაშვილი დიდი ხანია თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას თავისი ყოფილი მეუღლის პაშინინას სასარგებლოდ, რომელთანაც მას შვილი ჰყავს. რაიონის სასამართლოსა და პროკურატურის მიერ მიღებული ზომების შედეგად ჯაშიაშვილმა მხოლოდ წელს დაფარა დავალიანება.

ქ. ქუთაისის სამრეწველო კომბინატის ფოტო-სამხატვრო საწარმოს მხატვარი ნაჭყებია, რომლის საშუალო თვიური გამომუშავება 3.000 მანეთს აღემატებოდა, თავის ყოფილ ცოლს შვილის საზრდოდ თვეში მხოლოდ 100 მანეთს უგზავნიდა, ნაცვლად ხელფასის 25 პროცენტისა.

იმისათვის, რომ შვილებს შეუმციროს კანონის შესაბამისად სასამართლოს მიერ დაწესებული ალიმენტის რაოდენობა, ზოგიერთი მამა აწყობს მეორე ცოლთან ფიქციურ განქორწინებას, ამ გზით შვილებისათვის ალიმენტის სახით განკუთვნილ მატერიალურ დახმარებას ამცირებს. ამას წინათ მოქალაქე ვენერა კიმოთეს ასულმა დავითაიამ აღძრა სარჩელი მოქალაქე თენგიზ გიორგის-ძე დავითაიას მიმართ ოთხი ბავშვის შესანახად ალიმენტის გადახდევინებაზე. ცხაკაიას რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა — თენგიზ გიორგის-ძე დავითაიას დაეკისრა ოთხი ბავშვის შესანახად ხელფასის 50 პროცენტის გადახდა. როგორც გამოირკვა, ვენერა დავითაიას სარჩელი ფიქციური იყო.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ცხაკაიას რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გააუქმა.

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან დედათა და ბავშვთა საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტისათვის. ახლა ხშირი არ არის საჩივრების განხილვისადმი უსულგულო, ფორმალური დამოკიდებულების შემთხვევები. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში შემოსული საჩივრების 96,6 პროცენტი განხილულია კანონით დადგენილ სამი დღის ვადაში. მიუხედავად ამისა, როგორც თვით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, ისე მის ორგანოებს ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი საჩივრების შემოწმებისა და გადაწყვეტის საქმეში. ჯერ კიდევ არის საჩივართა შესწავლის ყოვლად შეუწყნარებელი გაჭიანურების ფაქტები, არასერიოზული, ზერელე დამოკიდებულების შემთხვევები.

მაგალითად, ქ. ქუთაისის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. გელაძე) საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს აცნობა, რომ მოქალაქე ტიშჩენკოს გაეგზავნა ალიმენტი (457 მანეთი). სინამდვილეში ეს თანხა გაგზავნილი აღმოჩნდა სულ სხვა მისამართით და სხვა დანიშნულებით. ამრიგად, ტიშჩენკოს საჩივრის ზერელე შემოწმების შედეგად სახალხო სასამართლომ შეცდომაში შეიყვანა იუსტიციის სამინისტრო, რომელმაც თავის მხრივ არასწორი შეტყობინება გაუგზავნა განმცხადებელ ტიშჩენკოს.

ქ. გორის სახალხო სასამართლომ მოქალაქე მ. მ. სოროკინისათვის ალიმენტის გადახდევინების შესახებ აღმასრულებელი ფურცელი მიმდინარე წლის 14 მარტს მიიღო. სასამართლო ვალდებული იყო დაუყოვნებლივ დაედო ყადაღა სოროკინის ხელფასზე, მაგრამ ეს ღონისძიება მან მხოლოდ 18 ივნისს, ე. ი. სამი თვის შემდეგ განახორციელა. ასევე დროულად არ მიიღო ზომები ქ. ფოთის მეორე უბნის სახალხო მოსამართლემ ამხ. გვილავამ, რათა მოქალაქე ფაღავას თავისი ყოფილი ცოლისათვის ალიმენტი გადაეხადა.

პროკურატურის ორგანოები მოწოდებული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ ის მოქალაქენი, რომელნიც ბოროტი განზრახვით თავს არიდებენ შვილების სარჩენად ალიმენტის გადახდას, განზრახ გაურბიან მუდმივ სამუშაოზე მოწყობას და უმუშევრობის მომიზეზებით ცდილობენ თავი დააღწიონ პასუხისმგებლობას. ასეთი ულირსი მამაა, მაგალითად, ვინმე ბიტიაკოვი, პროფესიით მღებავი. იგი მთელი რიგი წლების განმავლობაში გაურბის შვილის სარჩენად ალიმენტის გადახდას, ამიტომ არ ეწყობა მუდმივ სამუშაოზე, მხოლოდ კერძო, შემთხვევით სამუშაოს ასრულებს. ბიტიაკოვი რამდენჯერმე მისცეს პასუხისგებაში. 1953 წლის 27 მარტის ამნისტიით საქმე მის მიმართ მოისპო. იმავე წლის დეკემბერში იგი კვლავ გაასამართლეს და ორი წლით პირობითი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მიუხედავად ამისა, ბიტიაკოვი ისევ არიდებდა თავს ალიმენტის გადახდას, რის გამო მასალები მისი პასუხისგებაში მისაცემად მესამედ გადაეცა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურას. ბიტიაკოვმა როგორც იყო დაიწყო მუშაობა და ალიმენტის გადახდა. პროკურატურამაც საქმე წარმოებით მოსპო. მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან ბიტიაკოვმა კვლავ მიატოვა სამუშაო და ბავშვისათვის ალიმენტის გზავნა. სახალხო სასამართლომ მასალები მეოთხედ გაუგზავნა ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურას, მაგრამ რაიონის პროკურატურამ უსაფუძვლოდ დაუბრუნა მასალები სახალხო სასამართლოს და ამრიგად ბიტიაკოვი დაუსჯელი დატოვა.

ბავშვების ინტერესები, საბჭოთა ოჯახის განმტკიცების ინტერესები მოითხოვს სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების მხრივ სასტიკ ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, ვინც უხეშად არღვევს საბჭოთა კანონებს და განზრახ არიდებს თავს ოჯახის, შვილების წინაშე მოვალეობის მოხდას. ამასთან სასამართლოები მოვალენი არიან ალიმენტის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად კერძო დადგენილებით აცნობონ ეს იმ საწარმო-დაწესებულებას, სადაც მოპასუხე მუშაობს. ასეთი პრაქტიკა ხელს შეუწყობს საზოგადოებრიობის მხრივ აქტიური ზეგავლენის ზომების მიღებას.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზრუნვა ბავშვების ინტერესების დასაცავად, ამაღლდეს მშობელთა პასუხისმგებლობა შვილების აღზრდისათვის.

მ. ლომიძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

# გასაღები მონახულია

„...კაცი მოდის პარტიის მოწოდებით, მე უნდა შემცვალოს მან“...

პავლე გოდერძიშვილი მარტო იჯდა მაგიდასთან, ხელებში თავი ჩაერგო და მძიმე ფიქრებს მისცემოდა.

„...საქმე რიგზე რომ მქონოდა, შემცვლიდნენ? — არა. მაგრამ ღირს კი აქ ამიერიდან ჩემი გაჩერება?“

მან იგრძნო, რომ ღია კარებში ვიღაც შემოვიდა და მძიმე ნაბიჯებით უახლოვდებოდა, მაგრამ თითქოს არ ესმოდა, არ სურდა ამ ფიქრებიდან ვინმეს გამოეფხიზლებინა.

„...ვინ არ შეუცვლიათ. მე ხომ ვიცი, მისი მოსვლა ჩემი კარგი მუშაობით არ არის გამოწვეული. მე ვიყავ სუსტი რგოლი. ეს რგოლი უნდა შეიცვალოს“.

ნაბიჯი ახლოვდებოდა. და პავლე მოწოლილი ფიქრების ბურანიდან გამოაფხიზლა მხარზე დადებულმა ვიღაცის მძიმე ხელმა და სიტყვებმა:

— ჩამოვიდნენ. მიტოსთან გელოდებიან.

პავლეს თავი არ გაუნძრევია, თითქოს წინასწარ იცოდა ვინ უნდა ყოფილიყო, ვის უნდა დაერღვია მისი მყუდროება.

— ჩაატარონ, ფიდა, უჩემოდ. მე ხომ აქ მოადგილედ გამჩერებელი არა ვარ...

ფიდას თითქოს არც სმენია ამხანაგის ეს სიტყვები, ძალუმი ხელი მხარქვეშ ამოსდო ვაჟკაცს და ნელა, სათუთად აწია სკამიდან.

— მეც ხომ შემცვალეს? მაშინ ასე სჯობდა, პარტია მოითხოვდა, საქმე კარნახობდა.

სკამიდან წამოდგა, ჭაღარა თმა ხელით გადაივარცხნა, თაფლისფერი, ეშხიანი თვალებით შეაჩერდა სახეში ფიდას.

— ნუ დაგავიწყდება, რომ კომუნისტები ვართ, — განაგრძობდა ფიდა, — „ჩამოსული“ მარტო ვერაფერს გაჭდება, მხარში თუ არ ამოვუდგებით. წავიდეთ...

მიდიოდნენ. პავლეს დანა კბილს არ უხსნიდა. „შევთანხმდებით?“ — ეს ფიქრები კრიჭას უკრავდა.

სოფელში ივნისი ზეიმობდა. ზაფხული. მზე. ნელი ნიავი. მარჯვნივ თუ მარცხნივ ჯეჯილი ბიბინებდა, ზღვასავით ღელავდა, ვაკეები სიმინდს გადაელურჯებინა.

„რა დალოცვილი სოფელია — მარგალიტების კიდობანი! — მიწა ნოყიერი, ადამიანები გამრჯენი. გამოიჩინე ფხა, შე კაი კაცო, და გაუძეხ საქმეს... მაგრამ ახლა გვიან არის, ჩემგან გვიან არის თუმცა, არის კი საერთოდ გვიან? ბერბუკი რათ უნდა ჩამორჩეს?!...“

— თუ ნახე, ფიდა, ის „ჩამოსული“, რა კაცია? — გამოერკვა ფიქრებიდან პავლე.

— ვნახე. თუ პირველი შთაბეჭდილება არ მატყუებს, ვაჟკაცია ისეთი, რომ მოგეწონება. ზოოტექნიკოსი ყოფილა, საბჭოთა მუშაკი. თბილისიდან არის.

ბერბუკ-ახალსოფლის ასფალტიანი გზატკეცილის მარჯვნივ ამართულ მთის კალთაზე ახლანაგები შენობები გამოჩნდნენ — მანქანა-ტრაქტორთა სადგურის შენობები. შესასვლელთან რამდენიმე კაცს მოეყრია თავი. გაცხარებული სჯა-ბაასი აქვთ.

ეს — მტს-ის დირექტორია დიმიტრი სამიშვილი, ეს — გორის რაიკომის მდივანი ახალსოფლის მტს-ის ზონაში ვახტანგ ბეთლემიძე, ესენი — ნაცნობი მექანიზატორები არიან. ის კი... უთუოდ ის არის ჩემი შემცვლელი, — იგი დააკვირდა ახოვან უცნობ ვაჟკაცს, რომელსაც ნაცრისფერი საზაფხულო კოსტუმი ეცვა, ჭილის ქუდი ეხურა. გასცქეროდა თვალუწვდენ მინდვრებს, ზღვადქცეულ პურისა და სიმინდის ყანებს.

— გაიცანით, ამხანაგო ალექსანდრე, პავლე გოდერძიშვილი, ვფიქრობთ თქვენს მოადგილედ დავტოვოთ, ხალხი მხარს დაუჭერს.

თითქოს დიმიტრი სამიშვილის რეკომენდაცია არც სჭირდებოდა ახალმოსულს. თვალი თვალში გაუყარა მასპინძელს, ხელი გაუწოდა, ღონივრად ჩამოართვა.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა...

ჭელი არ შეუშვია, თავით-ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა და მრავლისმეტყველად დაუმატა:

— ...იმედია ვიმუშავებთ.

ეს შეხვედრა არ ჰგავდა იმას, რომ ჩამოსულს სდომებოდა დამხვდურის „თავიდან მოცილება“, როგორც ამას პავლე მოელოდა. ეს გამოხედვა შემოწმებაც იყო და თხოვნაც — ვიმუშაოთ ერთად, ხელიხელჩაკიდებით გავუძღვეთ საქმეს, გავამართლოთ პარტიის ნდობაო.

„დამხვდურმა“ — კომუნისტმა პავლე გოდერძიშვილმა თითქოს ეს ყველაფერი ამოიკითხა მოსულის მოღიმარ სახეზე, კეთილ თვალებში.

...„ჩაკიდულებში“, სარწყავი რუს აჭლოს, ახოვან ხეთა ჩრდილქვეშ დიდძალი ხალხი მოგროვილიყო — ერთ კოლმეურნეობად გაერთიანებული ოთხი სოფლის მშრომელები. ბერბუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ცხოვრებაში ეს იყო ღირსშესანიშნავი დღე — ახალი თავმჯდომარე უნდა აერჩიათ.

„როგორი იქნება ახალი თავმჯდომარე?“ — ეს იყო თვითეული დამსწრის ფიქრი.

რა ითქვა კრებაზე, საიდანაც კოლმეურნეობას უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრება უნდა დაეწყო? —

— მოუწესრიგებელია შრომა, მოსავალი დაბალია, მშენებლობათა მნიშვნელობა უგულებელყოფილია, მეცხოველეობის პროდუქტიულობა დაეცა, ფერმაში ქათმები იხოცება, კოლმეურნეებს შრომადღეზე მცირედი საზღაური ეძლევათ, მოისუსტებს დისციპლინა...

დისციპლინაზე ლაპარაკი რომ ჩამოვარდა, კრება შეიშმუშნა, ახმაურდა:

— მინდორს ტოვებენ და წიწაკა-პამიდორი მიაქვთ გორში გასაყიდად...

— ქირაზე მიდიან თბილისში, აქ მაინც ვერაფერს ვღებულობთო...

— ზოგს არც ერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული, ცხოვრობს საკარმიდამოს იმედით...

ამ მართალი ხმების ტალღებში „ზორგავდნენ“ კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე პავლე გოდერძიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი დავით ქარელიშვილი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ფიდა რუსიტაშვილი, ბრიგადირები, მერგოლეურები. მაგრამ ტალღა ამ მართალი ხმებისა არანაკლებ საგონებელში აგდებდა ახალ თავმჯდომარეს. მის თვალწინ უნებლიეთ კინოლენტივით გაირბინეს ფიქრებმა გუშინდელ დღეზე: დედაქალაქი. დიდი თანამდებობა. მაღალი ხელფასი. ცოლი, შვილი. ოჯახური მყუდროება კეთილმოწყობილ ბინაში. აქ კი! — ზრუნვა ბერბუკისა და სვენეთის, ზემორეხვისა და ქვემორეხვის კეთილდღეობისათვის, ფერმისა და ბოსტნისათვის, პურისა და სიმინდის ყანებისათვის, ვენახისა და ბაღებისათვის, სილოსისა და გეგმებისათვის, ყოველდღიური ზრუნვა ასობით კომლის ბედისათვის...

მაგრამ ამ ფიქრებში არ იყო სინანული. აქ რომ მოდიოდა, ციდან მანანას არ მოელოდა, ისე, როგორც ამას არ მოელის ფრონტის ცეცხლის ხაზზე მოხალისედ მიმავალი ჯარისკაცი.

კრებამ ნდობა გამოუცხადა პარტიის წარმოგზავნილს — ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ.

ყველაზე ფიცხელი სამუშაო, რაც ახალ თავმჯდომარეს პირველსავე დღეს დახვდა, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა იყო. მარტო ორმო ჰქონდათ ამოთხრილი. დრო არ ითმენდა. საშენ მასალათა მოზიდვა, ოსტატების შერჩევა, მშენებელთა ბრიგადის დაკომპლექტება, მუშახელის მობილიზაცია...

ახალ თავმჯდომარეს — ალექსანდრე გორდელაძეს — აქ მხარში ამოუდგა მისი მოადგილე პავლე გოდერძიშვილი. პავლეს რეკომენდაციით სამშენებლო ბრიგადის ხელმძღვანელობა შაქრო ქარელიშვილს დაეკისრა. კოლმეურნე ხელოსნებმა ხალისით მოჰკიდეს საქმეს ხელი. საკუთარი ძალები რომ არასაკმარისი შეიქმნა, კოლმეურნეობის დასახმარებლად მოვიდა გორის ბამბეულის კომბინატის სამშენებლო ტრესტი. მშენებლობა დამთავრდა. დასილოსება წარმატებით მიმდინარეობს. წელს 650 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი უზრუნველყოფილია ყუათიანი საკვებით.

დღის წესრიგში იდგა სიმინდის ნათესების დამუშავების გადაუდებელი საქმე. კომუნისტ არსენ ღორიჯაშვილის ბრიგადამ მაგალითი უჩვენა სხვებს. მას მიჰყვა უპარტიო მიხეილ ბექანიშვილის ბრიგადა და მუშაობა გაჩაღდა. მაგრამ უდისციპლინობა და შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება აქა-იქ მწვავედ იჩენდა ხოლმე თავს.

მიეშურება ახალი თავმჯდომარე დილაადრიან სიმინდის ყანებისაკენ. გზად ჯანიღონით სავსე კოლმეურნე სონა გოდელაშვილი ხვდება. დაუდვია კასრი ჭელის ორთვალაზე და მიარახრახებს.

— საით გაგიწევია, ფართობში რატომ არა ხარ? — ეკითხება თავმჯდომარე. — გუშინწინ პავლემ დაგაკავა გზაზე, ცოტა უფრო ადრე მე შეგამჩნიე და გაგაფრთხილე. რათ გაურბიხარ შრომას?

— უი, ქა, ერთი დღე რა დიდი ამბავია.

მაგრამ სონასათვის ეს ერთი და ორი დღე არ ყოფილა. ბაზრისკენ ეჭირა მუდამ თვალი და კოლმეურნეობაში შრომას არად აგდებდა.

— თოთხმეტი შრომადღე გაქვს, ქალო, სირცხვილით როგორ უნდა დაენახო სხვებს.

გოდელაშვილმა ხილაბანდი შეისწორა, დოინჯი შემოიყარა, გრძნობდა დანაშაულს, მაგრამ მოქმედების გამართლებას მაინც ეძებდა:

— გულო ზერეკიძეს არც ერთი შრომადღე რომ არა აქვს, არც ალექსანდრე ბექანიშვილს, არც შოთა საათაშვილს, არც... — კიდევ უნდოდა ჩამოეთვალა, ცრუ იყო ეს თუ მართალი.

— „არც“, „არც“!.. — გამოვიდა მოთმინებიდან თავმჯდომარე. — რატომ მარო საათაშვილი არ გაგონდება, ან მისი ქმარი ვლადიმერი, ან ოფელია მერაბაშვილი, ან დარიკო მაყაშვილი, ან მთვარინა ბექანიშვილი ან... კიტე შატბერაშვილის ოდენა მაინც ვერ უნდა გააკეთო, ან ალექსი განჯალაშვილისა, მამად რომ გეკუთვნის, სამოცდაათს რომ არის გადაცილებული?! წადი, წადი გორში, უქნარავ, ევაჭრე წიწაკით. შენ — წიწაკით ბაზარში, შენი ტოლი მარო საათაშვილი კი, თავისი შრომითი წარმატებებით, მოსკოვში, გამოფენაზე...

„ნეტავ, ჩემი წილი მიწისა, მოსატეხი ფეხი რო მიდგა, ჩაიქცეს და შიგ ჩამიტანოს!“... დგას შერცხვენილი სონა, კასრს დაყრდნობია. ვერც იქით წასულა, ვერც აქეთ.

„გავქრე ნეტავ!“.

ის იყო გზიდან ყანაში უნდა გადაეხვია აღელვებულ თავმჯდომარეს, რომ პარტორგანიზაციის მდივანი, აგროტექნიკოსი დავით ქარელიშვილი შეეფეთა.

— აი, შენი ხალხი, ამხანაგო პარტორგანიზაციის მდივანო, — მიუშვირა თავმჯდომარემ ზურგსუკან ცერით სონასაკენ, — ეგე, წიწაკით გორში სავაჭროდ მიდის.

ორთვალა წიწაკიანი კასრით უკვე „გამქრალიყო“, მაგრამ არა გორისაკენ, არამედ...

— აღზრდა აკლიათ ადამიანებს, აღზრდა, რაც წარმატების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია... უქნარობა უნდა მოვსპოთ... — განაგრძობდა თავმჯდომარე. პარტორგანიზაციის მდივანი დუმილით მიჰყვებოდა გვერდით, არანაკლებ დარცხვენილი, ვიდრე სონა გოდელაშვილი.

საღამოს, სიმინდის ყანებიდან დაბრუნებულმა ბოსტანში რომ შეიარა, თავმჯდომარემ შენიშნა საკმაოდ მოქანცული, ოფლის წინწკლებით დანამული ნაცნობი სახე... წიწაკით ვაჭრობაზე ამიერიდან ხელჩაქნეული სონასი.

„გასაღები, გასაღები უნდა, მონახოს ადამიანთა გულისაკენ, წარმატებისაკენ!“ — გაუელვა თავში კმაყოფილებით ალექსანდრე გორდელაძეს და მცირე შეყოვნების შემდეგ გამართა თავაუღებლად მომუშავე ვლადიმერ საათაშვილის რგოლისაკენ.

...სასილოსე ნაგებობანი არის, სილოსი იდება. წველადობის გეგმა გადამეტებით სრულდება. პურის მოსავალი უდანაკარგოდ აღებულია. სახელმწიფოს პირველი განაღწი ჩაბარდა. სიმინდს კარგი პირი უჩანს. ბოსტანი დღითიდღე უფრო მაღალ მოსავალს იძლევა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

„უნდა ვცხოვრობდეთ არა გუშინდელი ან დღევანდელი, არამედ ხვალინდელი დღით, რეალური პერსპექტივებით“ — ასეთია ახალი თავმჯდომარის ფიქრები.

არ კმარა ფერმის ტიპური შენობები. არ არის წყალი. იგი გასაყვანია. ფერმასთან აუზი იქნება. სარწყულებლები უკვე შეძენილია. ვარცლებს რკინა-ბეტონისაგან აკეთებენ, ცემენტით აპირკეთებენ. ფერმაში ბაგებს მაღლა სწევენ, მილები გაჰყავთ. ფერმასთან ამოღებულია რვა მეტრი სიგანის, თორმეტი მეტრი სიგრძის, ორი მეტრი სიღრმის ორმო. წელს აქ საკვებ ჭარხალს შეინახავენ. მერე ცემენტით მოაპირკეთებენ და ეს იქნება საწუნწუხე ორმო. იყოს სასუქი! ეზოც სუფთად შეინახება.

უჯიშო ქათმებს გაყიდიან, პეკინის ჯიშის იხვებსა და ბატებს შეიძენენ. სპეციალური ბადეები უკვე იყიდეს. ფერმა ხომ მდინარის ახლოსაა. იყოს წყალმცურავი ფრინველები. მათთვის სპეციალურ აუზს აკეთებენ. ინავარდონ!

ჩვენებური ჯიშის ძროხები ვლის წითლით უნდა შეიცვალოს. ცოტაა ოცდაცხრა სული. დალოცვილი ჯიშია. ივლისში ერთმა ძროხამ ტყუპი ხბო მოიგო. ორივე ჯანსაღადაა. ამაყობენ მწველავი სალომე ხუბულური და მწყემსი ლევან პოლოსიანი. ჯიშიანი მწარმოებელიც არის საჭირო, ორი მაინც. იძენენ.

არ კმარა წველადობის დღევანდელი დონე. ფერმასთან ახლოს ქერს თესავენ პირუტყვის საძოვებლად. ნაწვერალზე, ორმოცდაათ ჰექტარზე სიმინდს თესავენ პირუტყვის საკვებად. ნასვენ მიწებზე — ნაჩხატებზე, რცხალებზე გავიდა ილია მერაბაშვილის გუთნები. ოცდაათ ჰექტარ ყამირს მტს-ი ხნავს.

ხორბლის თესლის ნაწილს შავფხით ცვლიან — უკეთეს მოსავალს იძლევა. ასი ჰექტარი შავფხა ექნება კოლმეურნეობას. ახლა სწმენდენ თესლს, რწყავენ მიწას, ილეშენ ზოსტნეულს, ხნავენ საშემოდგომოდ.

ბოსტნეულის თესლი მკაცრად უნდა შეირჩეს. თუ ნეჟინის კიტრია, ნეჟინისა იყოს, თუ ჩუდორენკოს პამიდორია, ჩუდორენკოსი იყოს, თორემ რას ჰგავს ეს საოცარი ნარევი — სტანდარტს ვერ იცავს. დამზადების კანტორა უპასუხისმგებლობას იჩენს კოლმეურნეობის მაღალხარისხოვანი თესლით მომარაგების საქმეში.

...დიდია პერსპექტივები, მრავლისმეტყველია ახალი თავმჯდომარის შთანაფიქრები.

ბერბუკის კოლმეურნეობა — მარგალიტების ეს კიდობანი — წავა წინ, რადგან ამ „კიდობნის“ გასაღები — შრომის სწორი ორგანიზაცია, ადამიანებთან ერთობლივი შრომა — მონახულია.

**ვლ. თორდუა.**

ბერბუკი, აგვისტო.

## ლიტერატურა და ხელოვნება

# როსტოვის თეატრის გასტროლები



წარმატებით გრძელდება როსტოვის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები თბილისში. სპექტაკლებს ყოველდღე მრავალი მაყურებელი ესწრება.

თეატრის კოლექტივმა, რომელსაც საგასტროლო რეპერტუარში 16 სახელწოდების სპექტაკლი აქვს, 5 აგვისტოდან დღემდე თბილისელ მაყურებელს უჩვენა 9 სახელწოდების 16 სპექტაკლი. გარდა ამისა, თეატრი ესტუმრა გორს, სადაც მაყურებელს უჩვენა მუსიკალური კომედია „ზღვის კვანძი“. გორში როსტოვის თეატრის მუშაკებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი. სპექტაკლი „ზღვის კვანძი“ წარმოდგენილ იქნა აგრეთვე თბილისის ერთ-ერთ ქარხანაში. რუსთავის მშრომელებისათვის თეატრმა გამართა საოპერეტო საღამო.

ამ დღეებში თეატრმა მაყურებელს უჩვენა თანამედროვეობის ამსახველი მუსიკალური კომედია „ყველაზე სანუკვარი“ (მუსიკა სოლოვიოვ-სედოვის, ტექსტი ვ. მასისა და ჩერვინსკისა).

პიესა მოგვითხრობს, თუ რა მოუთმენლად ელოდება კომბაინერი პავლე კულიკოვი 3 წლის მანძილზე თავისი თანასოფლელის, სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტის ნასტიას დაბრუნებას. თვლის რა, რომ ბედნიერებისათვის საკმარისია თავგანწირული სიყვარული, იგი ეგოისტურად უდგება ნასტიას სწავლის საკითხს.

ყოფილ კოლმეურნე სტუდენტთა კოლექტივი და კოლმეურნეობა „ყველაზე სანუკვარის“ უფროსი თაობა აქტიურად იცავენ ნასტიას ინტერესებს და ამით ხელს უწყობენ იმას, რომ პავლეს შეუმუშავდეს ნამდვილი კომუნისტური შეხედულებანი ოჯახზე.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს ი. გენინს, მხატვრობა — ბ. დურაკოვს, დირიჟორია ვ. ბელიცი, ბალეტმეისტერი — ე. სოკერჟინსკი.

მაყურებელთა მოწონებას იმსახურებენ ნიჭიერი მსახიობები ა. გორელიკი (პავლე კულიკოვი), ი. ვილშანსკაია (ნასტია მაკაროვა), რსფსრ დამსახურებული არტისტი ვ. რეკოვა, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი ე. გორბაჩოვა, მსახიობები ი. საველიევი, გ. კაპანიცინი, ვ. ცივაგო, ა. შილინი, ა. ლოგინოვი და ბალეტის მსახიობები ე. კოვალენკო, ა. სულიმა, ვ. მიხაილოვი.

გასტროლების დამთავრებამდე — 25 სექტემბრამდე თეატრი გამართავს რამდენიმე პარალელურ სპექტაკლს და საოპერეტო საღამოს. პირველი ასეთი საღამო თბილისში გაიმართება ხვალ, ფილარმონიის საზაფხულო თეატრში. თეატრის კოლექტივს განზრახული აქვს სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის ადგილებზე გამართოს რამდენიმე საშეფო კონცერტი და უახლოეს ხანში მოაწყოს შემოქმედებითი შეხვედრა თბილისის საზოგადოებრიობასთან.

**გ. ძნელაძე.**

• • •

**სურათზე:** სცენა სპექტაკლ „ყველაზე სანუკვარის“ მესამე მოქმედებიდან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

# ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი ბათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმს ეწვია თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი.

თეატრმა გასტროლები დაიწყო კომპოზიტორ ნ. გუდიაშვილის ჰეროიკული მუსიკალური კომედიით „სალხინობელი“ (ლიბრეტო დ. თაქთაქიშვილისა).

თეატრი ბათუმელ მაყურებელს უჩვენებს თავისი რეპერტუარის საუკეთესო დადგმებს, როგორიც არის „პერიკოლა“, „ჩვენი ნაცნობები“, „რაც გინახავს ველარ ნახავ“, „ჰრიჰინა“ და სხვ.

თეატრი გასვლითს წარმოდგენებს და კონცერტებს გამართავს ქობულეთის რაიონში, სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კულტურის სახლში, აჭარის ერთ-ერთ სანატორიუმში, აგრეთვე ქალაქ მახარაძესა და ლანჩხუთში.

# შორეულ მხარეებში

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ამირანაშვილი თავისი შემოქმედების შესანიშნავ დღეებს ახმარს საგასტროლო მოგზაურობას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. იგი ხალისით გამოდის როგორც სახელმწიფო თეატრების სცენებზე, ისე კლუბებში — კოლმეურნეებთან, მეშახტეებთან, მეზღვაურებთან, და ყველგან შესანიშნავ წარმატებებს აღწევს.



ზემოთ სურათზე წარმოდგენილია პეტრე ამირანაშვილი ამონასროს როლში (ოპერა „აიდა“). სურათი გადაღებულია ტაშკენტის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. მაშინ პ. ამირანაშვილი საგასტროლოდ იყო შუა აზიის რესპუბლიკებში.

2 ივლისს პ. ამირანაშვილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პიანისტ ელენე დვალთან ერთად საგასტროლოდ გაემგზავრა შორეულ აღმოსავლეთში.

„საინტერესო და შინაარსიანი კონცერტი“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა წერილი გაზეთმა „სოვეტსკი სახალინმა“ 7 აგვისტოს პ. ამირანაშვილის გასტროლების შესახებ. გაზეთი წერს: „საოლქო ცენტრში დიდი წარმატებით ჩაიარა ერთ-ერთი მოწინავე საბჭოთა მომღერლის, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის პეტრე ამირანაშვილის კონცერტებმა. სამხრეთ სახალინის მაყურებელი გულთბილად მიესალმა სტუმარს, რომელიც პირველად ჩამოვიდა შორეულ აღმოსავლეთში.

კონცერტის პროგრამა საინტერესო და შინაარსიანი იყო. მოვისმინეთ არიები, დუეტები ოპერებიდან, რომანსები, რუსული და ნეაპოლური სიმღერები.

პ. ამირანაშვილმა დიდი ოსტატობით შეასრულა რიგოლეტოს არია ვერდის ამავე სახელწოდების ოპერიდან, აგრეთვე არიები „კარმენიდან“, „იოლანტადან“, „სევილიელი დალაქიდან“ და სხვ.

მომხიბვლელი ლირიკულობით ჟღერდა მომღერლის ხმა ჩაიკოვსკის, ბალაკირევის, შუმანის, არაყიშვილის რომანსების შესრულების დროს.

ლამაზმა და ძლიერმა ხმამ (დრამატულ-ლირიკული ბარიტონი), მაღალმა პროფესიულმა ოსტატობამ და გულდასმით შერჩეულმა რეპერტუარმა მაყურებლის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე სოლისტმა ვიქტორია ორლოვსკაიამ, რომელმაც წარმატებით შეასრულა რუსი და დასავლეთევროპელი კომპოზიტორების სიმღერები.

თავისი შესანიშნავი აკომპანემენტით კონცერტების წარმატებას ხელს უწყობდა პიანისტი ელენე დვალი.

ამჟამად ბრიგადა სახალინიდან გაემგზავრა. იგი კონცერტებს გამართავს ანივაში, დოლინსკსა და სმირნიხში“.

პ. ამირანაშვილის გასტროლების წარმატების შესახებ წერილი გამოაქვეყნა აგრეთვე გაზეთმა „ამურსკაია პრავდამ“.

გაზეთმა მაღალი შეფასება მისცა საგასტროლო კონცერტებს, განსაკუთრებით აღნიშნა ქართული სიმღერების, რომანსებისა და არიების შესრულების მაღალი ოსტატობა.

გაზეთი „ამურსკაია პრავდა“ სურვილს გამოთქვამს, რომ სსრ კავშირის სახალხო არტისტის პ. ამირანაშვილის საგასტროლო რეპერტუარში მეტი ადგილი დაეთმოს საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს თანამედროვეობის თემაზე.

პეტრე ამირანაშვილის გასტროლები შორეულ აღმოსავლეთში 7 სექტემბრამდე გასტანს. ამ ხნის განმავლობაში საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, მეზღვაურებთან გაიმართება 38 კონცერტი.

ქვემოთ სურათზე ვხედავთ სსრ კავშირის სახალხო არტისტ პ. ამირანაშვილს წყნარი ოკეანის მეზღვაურებთან. მომღერლის გვერდით (მარჯვნივ) დგას ახალგაზრდა მეზღვაური ვალენტინ კურსკოვი, რომელსაც საუკეთესო ვოკალური მონაცემები აქვს და პ. ამირანაშვილთან შეხვედრის შემდეგ გადაუწყვეტია ისწავლოს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.



# საინტერესო ნარკვევები

## ბიბლიოგრაფია

ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე დაწერილი შრომებიდან ყურადღებას იპყრობს აპ. მახარაძის ახლახან გამოქვეყნებული წიგნი „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტომი II.

პირველ თავში, არსებული მასალების საფუძველზე, აგრეთვე ახლო ნაცნობთა და ნათესავთა მონათხრობის მიხედვით საინტერესოდ არის გადმოცემული ალ. ყაზბეგის ბავშვობა და ყრმობა. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ყაზბეგის მოღვაწეობას მაშინდელ ქართულ პრესაში და სცენაზე.

წიგნში ვრცლად არის მიმოხილული ალ. ყაზბეგის შემოქმედება. ეს წიგნის ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ნაწილია. ყაზბეგის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ეს თავები მასალის ღრმა ცოდნით არის დაწერილი.

ავტორი, არჩევს რა „ხევისბერ გოჩას“, სწორ მეცნიერულ ანალიზს უკეთებს, მართებულად აშუქებს ამ მოთხრობის სოციალურ-იდეურ არსს, მის მიზანდასახულებას, მხატვრულ მხარეს, სიუჟეტურ მთლიანობას.

ასევე აღსანიშნავია ტრაგიკული სახეების მიმოხილვა ყაზბეგის შემოქმედებიდან. ეს ყაზბეგის გმირთა ტრაგედიის გარკვევის პირველი ცდაა. ავტორი ვრცლად არკვევს მწერლის გმირთა ტრაგედიის სათავეს, მართებულად წყვეტს ამ საკითხს, რომელშიც მჟღავნდება თვით მწერლის ტენდენცია და მისი შემოქმედებითი მეთოდი — რეალიზმი.

წიგნის ეს ნაწილი მთავრდება მწერლის დრამატურგიის მიმოხილვით. ავტორმა თუმცა ძუნწად, მაგრამ ძირითადი ხაზებით მაინც გადმოსცა ყაზბეგის დრამატურგიული მემკვიდრეობის მთავარი მომენტები. ა. მახარაძე ვრცლად ჩერდება პიესა „არსენაზე“, მაგრამ იგი უფრო მშრალი ფაქტების აღნუსხვით კმაყოფილდება და არ ახდენს დრამატურგიული ნაწარმოების ყოველმხრივ ანალიზს. გარდა ამისა, ავტორს ყურადღება უნდა გაემახვილებინა სხვა პიესებზეც და იგი მარტო მათი ჩამოთვლით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ა. მახარაძის ნაშრომის ყველა თავი ერთნაირი სიძლიერით არ არის დაწერილი. როცა ავტორი გმირების შესახებ მსჯელობდა, საჭირო იყო მათი შინაგანი სამყაროს, ტანჯვისა და ტკივილების უფრო ვრცელი ანალიზი, ვიდრე ეს მის წიგნშია. ავტორი მხოლოდ და მხოლოდ „ხევისბერი გოჩას“ მხატვრულ-იდეურ ანალიზს აკეთებს. საჭირო იყო რამდენიმე სხვა მოთხრობაც ასე გაერჩია მას.

წიგნის მეორე ნაწილი მიძღვნილია ვაჟა-ფშაველასადმი. ვაჟას პოემების ღრმა ანალიზზე დაყრდნობით, ყველა შეხედულებისადმი კრიტიკული მიდგომით და ზოგიერთ ავტორთან პრინციპული პოლემიკით, აპ. მახარაძე ცდილობს მოგვცეს მისი შემოქმედების თანმიმდევრული გადმოცემა და სწორი გაშუქება.

ვაჟას შეხედულებებისა და მისი პოეზიის იდეური მხარის ნათელსაყოფად მკვლევარს ანალიზი გაუკეთებია უამრავი ფაქტიური მასალისათვის. ავტორი აბათილებს იმ არასწორ აზრს, თითქოს ვაჟა-ფშაველა შეზღუდული იყო მთის თემატიკითა და მარტოოდენ შუასაუკუნეობრივი ყოფის ასახვით, თითქოს ის ვერ ამაღლდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაგებამდე.

ა. მახარაძე ვრცლად მიმოიხილავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ეროვნული თავისუფლების მოტივებს. პოემების „ბახტრიონის“, „ძაღლიკა ხიმიკაურის“, „მოხუცის ნათქვამის“ და „გოგოთურ და აფშინას“ მოტივები და მიზანდასახულება დამაჯერებლად არის გაშუქებული, მკითხველს სწორ წარმოდგენას უქმნის ვაჟა-ფშაველას მთელ იდეურ მიმართულებაზე.

წიგნში თემისა და პიროვნების დაპირისპირების ფონზეა განხილული ვაჟას ორი პოემა — „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“.

მესამე ნაწილში განხილულია თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას შემოქმედება. ამ ორი თვალსაჩინო მწერლის შემოქმედება ნაკლებად არის შესწავლილი და ამიტომ ავტორი მართებულად მოქცეულა, რომ ნარკვევებში შეუტანია ბაჩანაც და თედოც. მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნის ეს ნაწილი ზერელედ და სქემატურად არის დაწერილი. იგი სრულ წარმოდგენას ვერ უქმნის მკითხველს ამ ორ მწერალზე.

მიუხედავად ზემოთ დასახელებული ნაკლოვანებებისა, ა. მახარაძის აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანი წვლილია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში.

**ირ. არაბული.**

# ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებაზე — მიმდინარე წლის დამლევამდე 640 ათასი კაცით შემცირდეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა — უცხოეთის მრავალრიცხოვან და მეტწილად მისასალმებელ გამოხმაურებათა შორის განსაკუთრებით გამოიყოფა განცხადებები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ღონისძიება მაგალითია სხვა ქვეყნებისათვის.

„მე კომუნისტი არა ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ რუსები კარგად იქცევიან. ყველამ უნდა მიბაძოს მათ მაგალითს, და მაშინ საქმე კარგად წავა“, — აცხადებს „ლუმანიტეში“ პარიზელი მუშა პერონ დეზირე. ასეთსავე აზრს გამოთქვამს ზოგიერთი ინგლისური გაზეთი, მათ შორის „ნიუს ქრონიკლი“, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია, რომ ინგლისმა „გადასინჯოს თავისი პრობლემები საბჭოთა კავშირის მოქმედების მიხედვით“. ამერიკელი სენატორი ელენდერი ნაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა გადაწყვეტილებას და ხაზგასმით აღნიშნავს: „ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ რუსებს“. საბჭოთა კავშირის ახალ მშვიდობისმოყვარულ წამოწყებაზე ასეთი გამოხმაურება ბუნებრივი და გასაგებია.

დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯებში თვალსაჩინო ადგილი უკავია უზომოდ დიდი შეიარაღებული ძალებისა და მათი პირადი შემადგენლობის შენახვას. მართალია, მის რაოდენობას საიდუმლოდ ინახავენ, მაგრამ პრესაში გამოქვეყნებული არასრული ცნობებიც საშუალებას იძლევიან დავასკვნათ, რომ დასავლეთის შეიარაღებულ ძალებში ჭეშმარიტად დიდძალი სამხედრო მოსამსახურეა. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ამასწინანდელი ცნობის თანახმად, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების შეიარაღებული ძალები ევროპაში 6 მილიონ კაცს შეადგენენ. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, 1954 წლის ოფიციალური მონაცემებით, იქ სამხედრო სამსახურში ცხრაჯერ მეტი მამაკაცია, ვიდრე 1939 წელს. 1938 წელთან შედარებით ერთისამად გაიზარდა ინგლისის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რიცხვი. დაახლოებით ასეთივე სურათია საფრანგეთში. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ 1951 წელს შეიარაღებული ძალების რიცხვი ომამდელი 1939 წლის დონემდე შემცირდა, როგორც ეს აღნიშნული იყო საბჭოთა მთავრობის 1951 წლის 24 თებერვლის ნოტაში ინგლისის მთავრობისადმი.

შეიარაღებული ძალების დიდი პირადი შემადგენლობის შენახვა ძალიან ძვირად უჯდება დასავლეთის სახელმწიფოებს. ამერიკის სტატისტიკურ კრებულებში გამოქვეყნებული გამოანგარიშებით, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის, ფლოტისა და ავიაციის პირადი შემადგენლობის შენახვის ხარჯები 1948-1949 საბიუჯეტო წლის 3,9 მილიარდი დოლარიდან გაიზარდა თითქმის 10 მილიარდ დოლარამდე 1954-1955 წელს. ინგლისში შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის შენახვის მარტო პირდაპირი ასიგნობანი უკანასკნელ ხუთ წელიწადში გადიდდა 252-დან 423 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე.

უარყოფით გავლენას ახდენს დასავლეთის სახელმწიფოთა ეკონომიკაზე ის გარემოებაც, რომ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის უზომო გადიდება, ჯერ ერთი, საწარმოო შრომას აშორებს დიდძალ ყველაზე შრომისუნარიან მოსახლეობას და, მეორე, იწვევს მატერიალური რესურსების არასაწარმოო ხარჯვას. ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ მონაცემებით, 1952 წლის მეორე კვარტალში ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო მიზნებს ხმარდებოდა სახელმწიფოში დამზადებული მთელი ფოლადის 26 პროცენტი, სპილენძის 40 პროცენტი და ალუმინის 45 პროცენტი.

„ჟენევის სულისკვეთებით“ გამოწვეულ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ახლანდელ პირობებში დასავლეთის სახელმწიფოთა უზომოდ დიდი არმიების შენახვა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკის განგრძობა არ შეიძლება გამართლებულ იქნას რაიმე ობიექტური მოსაზრებით. დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დასმულია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხი, განიარაღების საკითხი. იმ ღონისძიებათა პროგრამა, რომელთა მიზანია ამ საკითხის გადაჭრა, საბჭოთა კავშირმა მოგვცა მიმდინარე წლის 10 მაისის თავის წინადადებებში შეიარაღების საყოველთაო შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის ფავიდან აცილების შესახებ. ახლა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რაოდენობის შემცირების გადაჭრაში ჩვენმა ქვეყანამ გვიჩვენა იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა მივუდგეთ პრაქტიკულად იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღების შემცირების პრობლემასთან. ესმით რა ეს, დასავლეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებიც საღად მსჯელობენ და დაინტერესებული არიან საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებით, მოითხოვენ, რომ მათმა ქვეყნებმა მიბაძონ საბჭოთა მაგალითს. ამასთან ერთად უცხოეთის საზოგადოებრიობა აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული ნაბიჯი ქმნის ახალ ხელსაყრელ წანამძღვარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მუშაობისათვის, რომელიც სხდომებს განაახლებს აგვისტოს დამლევს.

## ᲚᲘ ᲡᲘᲜ ᲛᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲒᲝ ᲓᲘᲜ ᲓᲘᲔᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ამ ბოლო დროს აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში მოხდა მთელი რიგი ამბები, რომლებიც კვლავ მოგვაგონებენ, რომ საჭიროა გადაიჭრას ამ რაიონის მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემები. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა ლისინმანელთა პროვოკაციულ გამოსვლებს კორეაში დაზავების წინააღმდეგ და ვიეტნამის ეროვნული ერთიანობის მტრების ხრიკებს.

როგორც ცნობილია, კორეის ამბების აზრი ის არის, რომ ლი სინ მანი გამოვიდა პროვოკაციული მუქარით — ძალით გაავრცელოს სამხრეთ კორეის რეჟიმი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რაიონებზე, რომლებიც 38-ე პარალელის სამხრეთით მდებარეობენ, და მოითხოვა დაზავების ნეიტრალური კომისიის გაძევება სამხრეთ კორეის ტერიტორიიდან. ლი სინ მანის ეს გამოსვლები დაგმეს ყველა ქვეყანაში. მაგრამ ლისინმანელთა პროვოკაციები გრძელდება, და ლი სინ მანს, ცნობილი ამერიკელი მიმომხილველის ლიპმანის აღიარებით, არ დაუკარგავს იმედი, რომ ძალით „საბოლოოდ გააერთიანოს კორეა სეულის რეჟიმის ხელმძღვანელობით“.

ამ პირობებში, ბუნებრივია, კორეის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი განსაკუთრებით გამწვავდა. მისი გადაჭრის გზა გვიჩვენა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა თავის სიტყვაში კორეის განთავისუფლების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. სასურველია, ხაზგასმით აღნიშნა კიმ ირ სენმა, რომ დაინტერესებული ქვეყნების მთავრობებმა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის მოიწვიონ თათბირი აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობით.

სულ უფრო აუცილებელი ხდება ვიეტნამის საკითხზე ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა სრული შესრულება. ეს შეთანხმებანი ითვალისწინებენ, რომ 1956 წლის ივლისში ვიეტნამში უნდა მოეწყოს საყოველთაო არჩევნები საერთაშორისო კომისიის მეთვალყურეობით და რომ კონსულტაციები ასეთი არჩევნების მოწყობის შესახებ ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა შორის უნდა დაწყებულიყო მიმდინარე წლის 20 ივლისიდან. ჩრდილოეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან დაიწყონ როგორც კონსულტაციები ვიეტნამის სამხრეთი ნაწილის ხელისუფლებასთან, ისე საყოველთაო არჩევნებისათვის მზადება. სხვა პოზიცია დაიკავა სამხრეთ ვიეტნამის მთავრობამ, რომელსაც ნგო დინ დიემი მეთაურობს. მიუხედავად საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა ნოტებისა, რომლებიც მოითხოვდნენ კონსულტაციის დაწყებას საყოველთაო არჩევნების მოწყობის მიზნით, ნგო დინ დიემმა 10 აგვისტოს გააკეთა განცხადება, რომელშიც უარყოფს ასეთ კონსულტაციებს. ამასთან ერთად სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა გააძლიერეს ტერორი ვიეტნამის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა დაცვის მომხრეების წინააღმდეგ. დაადგა რა ლი სინ მანის მიერ გაკაფულ გზას, ნგო დინ დიემი და მისი გარემოცვა სამხრეთ ვიეტნამში ჰქმნიან რეაქციული დიქტატურის რეჟიმს და ყოველნაირად ცდილობენ ცილი დასწამონ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას და საერთაშორისო კომისიას, რომელიც თვალყურს ადევნებს ვიეტნამის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა დაცვას. ნგო დინ დიემის პროვოკაციები, ჩინური პრესის დამოწმებით, ქმნიან ინდოჩინეთში მშვიდობის დარღვევის საფრთხეს.

მდგომარეობა, რომელიც ლი სინ მანისა და ნგო დინ დიემის პოზიციის მეოხებით შეიქმნა კორეასა და ვიეტნამში, გაზეთ „ჟენმინჟიბაოს“ სიტყვით, ეწინააღმდეგება „ჟენევის სულისკვეთებას“. ასეთივე აზრის არიან ინდოეთის მთელი რიგი გაზეთები, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩინეთის პრემიერის ჯოუ ენ-ლაის წინადადების განხორციელებას იმის შესახებ, რომ ამ რაიონის ქვეყნებმა, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დადონ კოლექტიური უშიშროების პაქტი.

აზიისა და შორეული აღმოსავლეთის პრობლემების მნიშვნელობა მთელი საერთაშორისო ვითარებისათვის ძალიან დიდია. მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა მტკიცედ მოითხოვს, რომ გამოიძებნოს ამ პრობლემების ისეთი გადაჭრის გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და სახელმწიფოთა შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნას.

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატამ განიხილა მთავრობის განცხადება ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შესახებ და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მიესალმება თათბირის შედეგებს. შეეხო რა გერმანიის საკითხს, სახალხო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი გადაწყვეტა უნდა ვეძიოთ არა იმაში, რომ დასავლეთმა გერმანიამ მონაწილეობა მიიღოს კარდახშულ სამხედრო ბლოკებში, არამედ უნდა ვეძიოთ ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის ჩარჩოებში. ამასთან ერთად სახალხო პალატამ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვით გერმანელთა მონაწილეობას გერმანიის საკითხის განხილვასა და გადაჭრაში, აგრეთვე ის, რომ საჭიროა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიაში მცხოვრებ გერმანელთა თანამშრომლობა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში, რადგან ასეთი თანამშრომლობა გააადვილებს გერმანიის ეროვნულ გაერთიანებას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებამ და სახალხო პალატის რეზოლუციამ მთელ გერმანიაში მოწონების მრავალი გამოხმაურება გამოიწვია. ზევრი უბრალო გერმანელის განწყობილება კარგად გამოხატა ჰამბურგის სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა „დი ანდერე ცაიტუნგმა“. ახლა, წერს იგი, საქმე ეხება იმას, რომ გადაჭრით ვიბრძოლოთ განიარაღების პოლიტიკისა და შიდაგერმანიის თანამშრომლობისათვის, რათა გადავლახოთ გერმანიის გათიშვა. გერმანიის გათიშვას, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, გადავლახავდით ევროპის უშიშროების სისტემის შექმნით, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ორი გერმანული სახელმწიფო და თუ მოეწყო შიდაგერმანიის მოლაპარაკება და თანამშრომლობა.

გადაჭრით მოითხოვენ ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის დამყარებას ყველა გერმანელს შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებნი. შვერინში, ვაიმარსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომელთა მონაწილენი იწონებენ სახალხო პალატის რეზოლუციას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადების გამო. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“, წერს რა გერმანიაში გაძლიერებული მოძრაობის დიდ მნიშვნელობაზე, ხაზგასმით აღნიშნავს მთელი გერმანელი მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის დიდ მნიშვნელობას. ასეთი ერთიანობა, წერს გაზეთი, უზრუნველყოფს გერმანიის გაერთიანებას მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის გავლენით გერმანელთა შორის ძლიერდება საზოგადოებრივი მოძრაობა „ჟენევის სულისკვეთების“ დამყარებისათვის გერმანიის დემოკრატიული და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკების ურთიერთობაში, მოძრაობა ამ ორი სახელმწიფოს თანამშრომლობისათვის გერმანიის საკითხის გადაჭრის გზების გამოძებნაში. ეს მოძრაობა, უეჭველია, შეესაბამება ევროპის მშვიდობის განმტკიცების ამოცანებს.

პ. ᲒᲠᲘᲜᲘᲜᲘ.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ფხენიანი, 19 აგვისტო. (საკდესი). დღეს საბჭოთა მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ბ. არისტოვის მეთაურობით ჩავიდა ქალაქ ჩხონჯინში — კორეის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის დიდმნიშვნელოვან სანავსადგურო და სამრეწველო ცენტრში.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას თან ახლდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე პაკ ი ვანი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლი დონ გენი.

ჩხონჯინში დელეგაციის წევრები იყვნენ თევზის ქარხნის მშენებლობაზე, კენსენის ფაიფურის ქარხანაში და სართავი ფაბრიკის მშენებლობაზე.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ეწვია რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს მეტალურგიულ ქარხანას — კიმ ჩაკის სახელობის ქარხანას, აგრეთვე იყო ჩხონჯინის ფოლადსამსხმელო ქარხანაში. ეს საწარმოები ნაწილობრივ უკვე აღდგენილია და პროდუქციას იძლევა. დელეგაციის წევრებს დაწვრილებით აინტერესებდათ მშენებლობის მიმდინარეობა, მომავლის გეგმები, სიძნელეები, რომლებიც აღდგენით სამუშაოებში ხვდებათ. საწარმოთა საამქროებში დელეგაციის წევრებს მხურვალედ მიესალმნენ მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ბერლინი, 19 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიულმა პრესამ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყების ცნობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გუშინდელი სხდომის შესახებ. სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება საწარმოო სახელოსნო კოოპერატივების შესახებ და ამ კოოპერატივების სანიმუშო წესდება. ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი მიღებულია ხელოსანთა წინადადებებისა და სურვილების შესაბამისად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. შტოფმა თავის სიტყვაში აღნიშნა სახელოსნო კოოპერატივების შექმნის დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოოპერატივები უნდა შეიქმნას მხოლოდ ნებაყოფლობის საფუძველზე.

შემდეგ მინისტრთა საბჭომ მოისმინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის შტაიდლეს მოხსენება რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარების შესახებ.

დასასრულ სხდომაზე გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო და შინაგერმანიის ვაჭრობის სამინისტროს სტატსმდივანი გრეგორი, რომელმაც სხდომას აცნობა ლაიპციგის საშემოდგომო ბაზრობისათვის მზადების შესახებ.

## ᲐᲢᲝᲛᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ჟენევა, 19 აგვისტო. (საკდესი). დღეს მუშაობას განაგრძობდა კონფერენციის სამი სექცია: ფიზიკისა და რეაქტორების; ქიმიის, მეტალურგიისა და ტექნოლოგიის; რადიაქტიური იზოტოპებისა.

ფიზიკისა და რეაქტორების სექციის სხდომებზე განიხილეს ახალი ექსპერიმენტული სამუშაოები რეაქტორთა მშენებლობის დარგში.

ქიმიის, მეტალურგიისა და ტექნოლოგიის სექციის განხილვის საგანი იყო მოსხივებული ელემენტების ქიმიური დამუშავების საკითხები.

რადიაქტიური იზოტოპების სექციამ მოისმინა მოხსენებანი, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და მრეწველობაში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებასთან.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების საკითხებზე დღეს თავიანთი მოხსენებანი წარადგინეს ვ. კონდრატიევმა, ი. იაკოვლევმა, ი. ალიმარინმა, გ. კურდიუმოვმა (სსრ კავშირი), ჯ. ტურკევიჩმა, უ. ბრაუნმა (ამერიკის შეერთებული შტატები) და ა. სმილსმა (ინგლისი).

მრეწველობაში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების საკითხზე წარდგენილ იქნა მთელი რიგი მოხსენებანი, რომლებშიც აღწერილია სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების საკონტროლო ხელსაწყოები, რომლებსაც საფუძვლად უდევს რადიაქტიური გამოსხივების გამოყენება.

სექციის სხდომაზე განხილულ იქნა მოხსენება ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისათვის რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების შესახებ. მოხსენება წარადგინა ს. ტ. ნაზაროვმა (სსრ კავშირი).

მრეწველობის სხვადასხვა დარგში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებისადმი მიძღვნილი მოხსენებანი გააკეთეს აგრეთვე პ. ლევეკმა (საფრანგეთი), მ. კატომ (იაპონია), ი. ზენმა (ნორვეგია).

საბჭოთა მეცნიერებმა განსახილველ საკითხზე წარადგინეს ა. მ. სამარინის მოხსენება ფოლადისა და თუჯის წარმოების პროცესების შესწავლის დროს ხელოვნური რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების შესახებ და ბ. დ. გროზინის მოხსენება მანქანების დეტალების გაცვეთის შესასწავლად რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების შესახებ.

## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ

ერთი თვეა საბჭოთა კავშირში იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს ნებრასკის შტატის უნივერსიტეტთან არსებული სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის დეკანი უილიამ ლამბერტი.

ამერიკელმა სტუმრებმა იმოგზაურეს ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქსა და ოლქში. ისინი გაეცნენ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოებას, დაათვალიერეს საცდელი სადგურებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მინდვრები, საწარმოები, რომლებიც უშვებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და ამუშავებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას. დელეგაციის წევრები იყვნენ უკრაინაში, ვოლგისპირეთში, კრასნოდარის მხარეში, შუა აზიის რესპუბლიკებში, ყამირის ათვისების რაიონებში.

19 აგვისტოს ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა.

შუადღემდე სტუმრებმა დაათვალიერეს მოსკოვის მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატი. კომბინატის დირექტორმა ა. ა. დოროხოვმა უამბო მათ, თუ როგორ მუშაობს კვების მრეწველობის ეს უდიდესი საწარმო, რომელიც 350 სახელწოდების ხორცის ნაწარმს უშვებს უმთავრესად დედაქალაქის მცხოვრებლებისათვის. შემდეგ დელეგაციის წევრებს უჩვენეს წარმოების მთელი პროცესი. დათვალიერების შემდეგ სტუმრების პატივსაცემად საუზმე გამართეს.

— ჩვენ მადლობელი ვართ იმისათვის, რომ მოგვეცა საშუალება დაგვეთვალიერებინა თქვენი ხორცკომბინატი, — განაცხადა საუზმის დროს დელეგაციის მეთაურმა უილიამ ლამბერტმა. — ამ დათვალიერებამ უაღრესად კეთილსასურველი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და სამშობლოში რომ დავბრუნდებით, ჩვენს სპეციალისტებს ვუამბობთ ამის შესახებ. ვილებ სასმისს და შემდგომ განვითარებას ვუსურვებ თქვენს მრეწველობას, ვისურვებ აგრეთვე შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის თანამშრომლობას.

დელეგაციის წევრთა ჯგუფი ლამბერტის, რიდისა და ჯონსონის შემადგენლობით იყო მოსკოვის ა. კ. ტიმირიაზევის სახელობის ლენინის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. ისინი აქ შეხვდნენ გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერებს.

აკადემიის რექტორმა ვ. მ. ლოზამ უამბო სტუმრებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა როლს ასრულებს აკადემია სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა და უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ პრობლემათა განვითარების საქმეში. საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ი. ვ. იაკუშკინმა და პროფესორმა ვ. ნ. სტოლეტოვმა დელეგაციის წევრებს გააცნეს, თუ რა მუშაობას ასრულებენ კათედრები მათი ხელმძღვანელობით მემცენარეობის, სელექციისა და გენეტიკის დარგში.

სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის საცდელი ნაკვეთები.

შემდეგ დელეგაციამ მთელი შემადგენლობით მოაწყო ექსკურსია კრემლში. კრემლის დათვალიერებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციის წევრებზე.

— ეს რუსული ეროვნული კულტურის დიდებული გამოფენაა, — უთხრა დელეგაციის მეთაურმა უილიამ ლამბერტმა საკდესის კორესპონდენტს. (საკდესი).

## ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ექვს დღეს იყო სტუმრად საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკთა, მასწავლებელთა და აღმზრდელთა პროფკავშირული დელეგაცია ოტო ულრიხ მეზერის მეთაურობით.

სრულიად გერმანიის პროფკავშირული დელეგაციის წევრები თბილისში ეწვივნენ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, საუბარი ჰქონდათ საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკებთან, გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

დელეგაცია გაემგზავრა ქალაქ გორში. აქ მან დაათვალიერა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, ბამბეულის კომბინატი.

სტუმრებმა იმგზავრეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. იქ ისინი გაეცნენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის მედიკურ-ბიოლოგიური სადგურის, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას, კურორტ გაგრის ჯანმრთელობის კერებს.

გუშინ სრულიად გერმანიის პროფკავშირული დელეგაცია სოხუმიდან გაემგზავრა მოსკოვს. (საქდესი).

## ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ

საბჭოთა სასპორტო ორგანიზაციების მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა ინდოეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

ინდოელი სპორტსმენები საბჭოთა კავშირში ერთ თვემდე დაჰყოფენ. ამ ხნის განმავლობაში ისინი მოივლიან რამდენიმე ქალაქს და მონაწილეობას მიიღებენ ამხანაგურ შეხვედრებში ფეხბურთელთა სხვადასხვა კოლექტივებთან. პირველ შეხვედრას ინდოელი სპორტსმენები გამართავენ 23 აგვისტოს მოსკოვში. ისინი „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე შეხვდებიან მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივს.

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ



გუშინ ორჯონიკიძის (ხარაგაული) რაიონის კოლმეურნეობებმა ავტომანქანებით თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდად ორგანიზებულად ჩამოიტანეს 10 ტონა ყველი, 7 ტონა თაფლი, კარტოფილი, ლობიო, 132 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 75 სული ცხვარი და თხა და სხვ.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე პროდუქტები განსაკუთრებით უხვად გამოგზავნეს სოფლების — ღვერკის ჟდანოვის, საღანძილის ბუდიონის, ვანის კაგანოვიჩის, ლელევანის კალინინის, ვახანის მოლოტოვის, კიცხის მიქოიანის, ფარცხნალის ბუაჩიძის სახელობის კოლმეურნეობებმა და ლაშის კოლმეურნეობა „იმედმა“. მარტო ლელევანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ გამოგზავნა 2 ტონამდე თაფლი, 1 ტონამდე ყველი, ხორცი და სხვა პროდუქტები.

ჩამოტანილი პროდუქტები იყიდება ორჯონიკიძის, სტალინის, კიროვისა და 26 კომისრის რაიონების საკოლმეურნეო ბაზრებზე.

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობები თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებს უახლოეს ხანში კიდევ მიაწვდიან დიდძალ პროდუქტს.

• • •

**სურათზე:** ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობების ავტოკოლონა თბილისში შემოსვლის წინ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ ᲒᲔᲢᲔᲑᲝᲠᲒᲨᲘ

სტოკჰოლმი, 19 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). მესამე ტურში თამაშის მეხუთე საათზე დამთავრდა კიდევ ოთხი პარტია. ბრონშტეინმა თანმიმდევრული თამაშით გამარჯვებამდე მიიყვანა თავისი უპირატესობა პარტიაში პოლონელ ოსტატ სლივასთან. საბჭოთა გროსმაისტერის დასკვნითი კომბინაცია ძალიან საინტერესო იყო.

ახალგაზრდა არგენტინელმა ოსტატმა პანომ დიდი სიზუსტით გაითამაშა ენდშპილი თავისი თანამემამულის ოსტატ გიმარის წინააღმდეგ და მალე მოიგო.

გელერმა უძლიერესი იერიში განავითარა ჰოლანდიელი ოსტატის დონერის მეფის პოზიციაზე, მაგრამ ორჯერ ვერ გამონახა მოგების გზა, და დონერმა მოახერხა თავის დაცვა, შეინარჩუნა რა ზედმეტი პაიკი. ამ მომენტში ორივე მოწინააღმდეგე უძლიერეს ცაიტნოტში აღმოჩნდა, და ჰოლანდიელი ოსტატის წინადადებით პარტია ყაიმით დამთავრდა.

მშვიდი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა საბჭოთა ოსტატ ილივიცკის პარტია უნგრელ გროსმაისტერ საბოსთან.

პილნიკ-ნაიდორფის და მედინა-ფილიპის გადადებულ პარტიებში უპირატესობა ნაიდორფისა და მედინას მხარეზეა.

ბეტებორგი, 19 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). მე-4 ტურში ყაიმით დამთავრდა პეტროსიან-გელერის, საბო (უნგრეთი) — ბრონშტეინისა და დონერ (ჰოლანდია) — ილივიცკის შეხვედრები. ასეთივე შედეგი იყო ჩეხოსლოვაკიის ოსტატ ფილიპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის ბისჰაიერის პარტიაში, რომელშიც მოწინააღმდეგეებმა სამჯერ გაიმეორეს პოზიცია. კერეს-სპასკის პარტიაში შავებმა ზუსტად ვერ გაითამაშეს ახალი ინდური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი, კერესმა ცენტრალური პაიკის წინ წაწევით მიაღწია პოზიციურ უპირატესობას და შეასუსტა მოწინააღმდეგის პაიკების პოზიცია. კვლავ კარგი სტილით თამაშობს ახალგაზრდა იუგოსლავი ოსტატი ფუდერერი, რომელიც ეთამაშა არგენტინელ ოსტატ პანოს. ფუდერერმა აქტიურად განალაგა თავისი ფიგურები და მეფის ფლანგზე პაიკების შეტევით მნიშვნელოვნად შეავიწროვა შავები. ძველინდურ დაცვაში ჩეხოსლოვაკიის გროსმაისტერმა პახმანმა თანდათან აჯობა თავის პარტნიორს პოლონელ ოსტატ სლივას და, მიაღწია რა ორი რკუს უპირატესობას, უკეთესი პოზიცია აქვს. ოსტატმა მედინამ (ვენესუელა) შავებით კარგად გაითამაშა დებიუტი, და მისმა მოწინააღმდეგემ შვედმა გროსმაისტერმა შტალბერგმა ვერ მოახერხა უპირატესობის მიღწევა. დაახლოებით თანაბარი შანსებია უნციკერ (დასავლეთ გერმანია) — რაბარის (იუგოსლავია) პარტიაში, სადაც შეიქმნა ერთ-ერთი პოზიცია, რომელიც დამახასიათებელია ნიმცოვიჩის დაცვისათვის. არგენტინელი მოჭადრაკეების გიმარ-პილნიკის შეხვედრაში შავებმა თავისი ფიგურებით დიდმნიშვნელოვანი პუნქტები დაიკავეს და კარგი შანსები აქვთ.

გროსმაისტერი ი. ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲕᲡᲙᲘ.

## ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში ლენინის გორაზე 19 აგვისტოს საზეიმოდ დაიხურა პროფკავშირთა მეხუთე სრულიად საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადა.

სპარტაკიადის შედეგების შესახებ ცნობა გააკეთა მთავარმა მსაჯმა კ. ს. ზაიცევმა.

პროფკავშირთა მეხუთე სრულიად საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადა მიმდინარეობდა 12 სახეობის სპორტში — მძლეოსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალში ხტომაში, გზატკეცილზე ველომარულში, კლასიკურ ჭიდაობაში, კრივში, ძალოსნობაში, ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ქალაქობანაში. ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობდა 3.500-მდე სპორტსმენი.

კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვება შეჯიბრებაში მოიპოვა საზოგადოება „ბურევესტნიკის“ კოლექტივმა. მეორე ადგილზე არიან საზოგადოება „ლოკომოტივის“ სპორტსმენები და მესამეზე — საზოგადოება „ზენიტის“ ფიზკულტურელები. სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის უდიდეს საწარმოთა ფიზიკური კულტურის საუკეთესო კოლექტივები. ფიზკულტურის კოლექტივთა გუნდებს შორის მძლეოსნობაში პირველი ადგილი დაიკავეს ლენინგრადის მანქანათმშენებელი ქარხნის სპორტსმენებმა. ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს ტულის მანქანათმშენებელი ქარხნის სპორტსმენებმა. მცურავთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ფიზკულტურელებმა.

სპარტაკიადის დახურვისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს დასასრულს სიტყვა წარმოთქვა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ა. ი. შევჩენკომ. მან საკავშირო პროფსაბჭოს სახელით მადლობა გადაუხადა სპარტაკიადის ყველა მონაწილეს, მსაჯებსა და ორგანიზატორებს დიდი მუშაობისათვის შეჯიბრების მოსაწყობად და უსურვა მის მონაწილეებს ახალი წარმატებანი შრომასა და სპორტში. (საკდესი).

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ „Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘ

მოსკოვი. 20 აგვისტო. აქ „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივები. შეხვედრა მოიგეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 1:0.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 3:2.

რედაქტორი გ. ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ.


ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

Ფ Ე Ხ Ბ Უ Რ Თ Ი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზის გათამაშება ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლებს შორის

Კ Ი Ე Ვ Ი (ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა) —

Თ Ბ Ი Ლ Ი Ს Ი (ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა)

დასაწყისი 6 საათზე.


მეუღლე ანა, შვილები კოლია, ვალია ოჯახებით იუწყებიან

**ლუკა ანდრიას-ძე ქოიავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VIII სოფელ ძველ აბაშაში (აბაშის რაიონი).

მეუღლე ელეფთერი, შვილები გრუნია, რუსუდან, მირიან, ტარიელ ოჯახებით იუწყებიან

**ანა მიხეილის ასულ სახვაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VIII, 5 ს. ზემო ხვედურეთში (ქარელის რაიონი).

მეუღლე ილია, შვილები ნინო, დავით, კონსტანტინე, ელენე, ლევან, ვასასი ოჯახებით იუწყებიან

**ნატალია ილიას ასულ ბარათაშვილი-კიკნაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VIII, 5 ს. ქ. ბორჯომში, გამოსვენება ახალშენის ქ. № 30.

შვილები მარო, ქუქუნა იუწყებიან

**ანასტასია გიორგის ასულ ჭეხაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 21-VIII, 5 ს. კავთისხევის ქ. № 15 (ლენინის რაიონი).

შვილი თამარ ხოშტარია ოჯახით და ნათესავებით იუწყება

**ემილია ათანასეს ასულ ქუთათელაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VIII ქ. წულუკიძეში, გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქუჩის II შესახვევი № 2.

შვილები ვერა, ელენე, ანდრო, ლევან გაჩეჩილაძეები ოჯახებით იუწყებიან

**ნინო გრიგოლის ასულ გაჩეჩილაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VIII ქ. ზესტაფონში, გამოსვენება რუსთაველის ქ. № 42.

დები ნუნუ, თამარ ოჯახებით იუწყებიან

**ბაბილინა ილარიონის ასულ ვაჩიბერიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 21-VIII, 4 ს. შმიდტის ქ. № 20 (საბურთალო).


ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი  გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი ს ა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03998

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.